


№ 3-67



ყოველკვირეული გაზეთი

№ 5

წელიწადი 1960



სახელი	_____
გვარი	_____
დაბადების	_____
მისამართი	_____
ფილიალის	_____

9778

ფასი 10 კპ.

მიიღება ხელის მოწერა

უოველ კვირულ საზოგადო-ეკონომიურ



და სალიბერატურო შურონალ

„კლდე“-ზედ.

1913 წლის იანვრიდან ჟურნალი უფრო ფართო პროგრამით გამოიცემა, ჩაერთობა ილუსტრაციები, კარიკატურები და სხ. მოწვეულ არიან ახალი თნამშრომელნი, როგორც ადგილობრივი, ისე რუსეთსა და საზღვარ გარედან.

ფ ა ს ი:

1 წლ. 6 თვ. 3 თვ. 1 თვ.	კალკე №
5 მან. 2 მ. 75 1 მ. 50	50 კ. 10
4 მან. 2.50 კ. 1 მ.	40 კ. 10

საზღვარ გარედ ყველა ფასებს ემატებათ თვეში 5 შაური გადასაცხაზნი.

სოფლის მასწავლებელთ, სამკითხველოებს, სტუდენტებს და კოოპერატიულ დაწესებულებათ დაეთმობათ

განცხადების ფასი:

კანტორასთან შეთანხმებით.

მიიღება ხელის მოწერა 1913 წლისათვის

უოველ დღიურ გაზეთზე

წელიწადი
მეორე
1913

ი მ ე რ ე თ ი

წელიწადი
მეორე
1913

გაზეთის ფასი: ერთი წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მან., ერთი თვით 4 აბაზი და ცალკე ნუმრის 1 შაური.

წლიურ ხელის მომწერლებს შეუძლიათ გაზეთის ფასი ამნაირად გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს სამი მანეთი, პირველ მაისს ორი მანეთი და პირველ ენკენისთვესაც ორი მანეთი.

მოსწავლეებს, სათვისტომოებს და სოფლის უფასო წიგნთსაცავ-სამკითხველოებს გაზეთი წლიურად ეთმობათ ოთხ მანეთად, ხოლო ნოქრებსა და სოფლის მასწავლებლებს — ხუთ მანეთად.

სამგლოვიარო განცხადების თითო დაბეჭდვა ყველასათვის — სამ მანეთად.

გაზეთის დასაკვეთი ფასი და აგრეთვე სხვა ანგარიშებიც უსათუოდ ამ მისამართით უნდა გამოიგზავნას: **Кутаись, редакция и контора газеты „ИМЕРЕТИ“.** **Антону Михайловичу Хеладзе.** სხვანაირად გამოგზავნილ ფუფსსა და ანგარიშებს რედაქცია თავის დროზე ვერ მიიღებს.

33(03)
5-67



№ 5

27 იანვარი 1913 წ.

ქართული
ლიტერატურა

ვისაც 1913 წლ. არ
გამოუწერია ურნალი
„კლდე“, იანვრიდან
ალარ ეგზავნება.



ქოველ კვირული საზოგადო-ეკონომ.

მიური და სალიტერატურო ჟურნალი

რედაქცია ღიაა 10-3 საათ.

მისამართი: თბილისი, Габаевский пер. № 3 რედაქცია „კლდე“. დეპეშისა: თბილისი კლდე.

სარჩევი: მწკავე საკითხი. — დავით კახელია. „გუბერნიის დემოკრატია“. — ა. — ისა. თუმანიშვილის „განმარტებანი“. — რ. — გესი. ლექსი. — ი. მკედლიშვილისა. ნახევარ-მუჭა დიპლომატები. — ფარსმან-ფარუხისა. არი ერთი სრულით (თარგმ.) — ირ. სონლულაშვილისა. ეკონომ. ქრთიკა. ტომბირას კავშირი. — ს. — კისა. ხაზინა და ქ. ხ. მამული. — თევდ. ლლონტისა.

მწკავე საკითხი

აქამდის ჩვენში ამბობდნენ: დავაარსოთ საადგილ-მამული ფონდი და მის საშუალებით მივეშველოთ იმ ქართველებს, რომელთაც სურთ მიწის შეძენა ჩვენს სამშობლოში და ამით გაუწიოთ სამსახური ქართულ მიწა-წყლის დაცვის საქმესაო.

მაგრამ სამწუხაროდ არც ასე მარტივად სწყდება მწკავე საკითხი ქართულ მიწისმფლობელობის უყოფნა არ ყოფნისა.

მარტო მიწის შესყიდვა, საზოგადოთ ჯერ იმას არ ნიშნავს, რომ მომავალშიაც იგი ხელში შეგვრჩება. თანამედროვე მიწის მფლობელობის დევიზია: — მიწა იმისია, ვინც მის დამუშავებას არ დაზარდება, ვისაც ამ დამუშავებაში კულტურული გაუმჯობესება შეაქვს ახალ სამეურნეო ცოდნის და ტექნიკის საშუალებით და გამოაქვს მიწიდან უდიდესი

სარგებლობა. მაშინ მიწა, მართლაც რომ ძვირფასი ხდება მ-ს პატრონისათვის... იგი ეკვრება მას, როგორც მოსიყვარულე შვილი დედას და ვაი იმათ, ვინც დააპირებს მაშინ მათ ერთმანეთის დაშორებას. ეხლა კი რას ვხედავთ?

ერთმა შემამულემ შემომჩივლა... რა ვქნა, რა უყო, როგორ მოვუარო ჩემს მამულს, რა გავაკეთო? ერთმხრივ ცოდნა მაკლია, მეორეს მხრივ ფული. მშვენიერი 130 დესეტინა მიწა მაქვს... ქალაქიდან სულ 3 ვერსზედაა... ძველებურად ვხნავ, ვთესავ პურსა, მაგრამ სარგებლობას კი ვერ ვხედავ. ვიცი რომ მამული ძვირფასია, ბევრიც კაი ფასში მევაჭრებიან და ამიტომ უფრო მენანება და არა ვყიდი. მაგრამ მეშინიან კი, ხომ მოგეხსენებათ, გაჭირვებული კაცი გახლავართ... ვაი თუ ერთ დღეს ღმერთი გამიწყრა და გავყიდი...

ამ შემამულეს გოდებით საუცხოვოდ ხასიათდება ჩვენი თანამედროვე მეურნეობის სილატაკე, ეკონომიურ ცხოვრების სიღამბლე და ქართული მიწის მფლობელობის ტრადიკული მდგომარეობა.

როგორ, ან რად უნდა შერჩეს ამნაირ შემამულეს მამული, როცა არც შეძლება და არც ცოდნა აქვს მისი მოვლა-პატრონობისათვის?

და არცა რჩება. ამის საშინელი მაგალითები ათასობით თვალ წინ გვეხატება.

ვერც მამულიშვილური გრძნობები, ვერც პატრიოტული მოწოდებანი, ვერც თავში ხელის ცემანი ველარ შეაჩერებენ ამ პირობებში მოქცეულ

323

ქართულ მიწა-წყლის მობილიზაციას და უცხოელე-
ბის ხელში გადასვლას...

და თუ ჩვენთვის ნათელია ეს უღმობელი ბუ-
ნების კანონი, რა პასუხი უნდა გავცეთ მაგალი-
თად ზემოხსენებულ დაჩაგრულ მემამულეს, რომე-
ლიც ახალ მამულის შექმნაზედ კი არ ფიქრობს,
არამედ სწყურია მართო თავის საკუთრების შენარ-
ჩუნება—დაცვა? ეს უფრო საყურადღებო საკითხია
ჩვენი ქვეყნისთვის... რადგანაც დღეს თუ ორიოდ
ქართველი ჰყიდულობს ახალ მამულს, ათიოდე ჰყი-
დის...

ჩვენი საადგილ-მამულო-ბანკები დღევანდლამ-
დის მოკლედ უპასუხებდნენ: დააგირავე მამული, გაი-
ტანე ფული და როგორც გინდა ისე მოიხ-
მარე!

რა მოხდა და რაცა ხდება ამ „დახმარების“ წყა-
ლობით, ამისი ხომ ჩვენა ვართ მოწმენი. გატანილი
ფულები უღვთოდ იფლანგებოდა, მამულები ვალებ-
ში იხრჩობოდა და თვით საადგილ-მამულო ბან-
კები ამ „დახმარების“ მოგებით განაგრძობდნენ თავის
ძველ კულტურულ მისიას — აძლევდნენ ქვეყანას გიმ-
ნაზიებს, პროგიმნაზიებს, „კლასიკებს“, ფილოლო-
გებს, ჩინოვნიკებს, მსახიობებს...

საქართველო, იმ წელიწადი დაყინებით თხოუ-
ლობდა სამეურნეო ცოდნით აღჭურვილ მიწის
მომუშავეებსა, აგრონომებსა, ინჟინერებსა, სამეურ-
ნეო და პროფესიონალურ სკოლებსა...

მაგრამ ამ მოთხოვნისათვის ზედაც კი არ
შეგვიხედნია და, როგორც ამ შემთხვევაში ამბობენ,
მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო... დღეს სამშო-
ბლო მიწის საკითხი დიდ განსაცდელშია... და სა-
შველ პასუხსაც ელის... და დღეს ჩვენი პასუხი სხვა
უნდა იყოს, როგორც სიტყვით, ისე საქმით... ქარ-
თულ მიწა-წყლის უიდვა-გამოყიდვის საქმეს მხა-
რში უნდა ედგეს ფართო კრედიტის მოწყ-
ობა სამეურნეო, საფერმო-საკოოპერაციო და
სამელიორაციო ორგანიზაციების დასაარსებლად
და მასთან ერთად ენერგიულად უნდა ვრცელ-
დებოდეს ინტენსიურ მეურნეობის ცოდნა და
მისი მეთოდები.

რა რიგად შეიძლება ამ სურვილების პრაქტი-
კულად განხორციელება? გვაქვს ჩვენ რამე ხელთა,
ან რა გვაკლია და როგორ უნდა მოვაწყოთ? ამის
განხილვას შეძლების დაგვარად ეხლა შევუდგებით.

თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ აღმოსავ-
ლეთი და დასავლეთი საქართველო ერთი ერთმანე-
თისაგან ძალიან განსხვავდებიან თავის საადგილ-

მამულო და საერთო ეკონომიური პირობებით,
შეუძლებელი ხდება მთელ საქართველოსთვის
ერთი რეცეპტის მიწოდება. უნდა ცალ-ცალკე შევე-
ხათ მათ და მივაწოდოთ ის, რაც მათთვის
საჭიროა და შესაძლოა ახლო მომავალში განხორ-
ციელდეს... მაგრამ ჯერ-ჯერობით შევაჩერებ მკით-
ხველის ყურადღებას ერთ საგანზედ. ამ ბოლო
დროს ქართულ პრესაში დატრიალდა აზრი განსა-
კუთრებით სამელიორაციო კრედიტის მოწყობის
გარშემო.

სხვათა შორის „სასაღხო გაზეთი“ ურჩევს
ჩვენს მოღვაწეებს აღმოსავლეთ საქართველოში
მოაწყონ სამელიორაციო კრედიტი, დასავლეთ სა-
ქართველოში კი სავაჭრო-სამეურნეო ბანკი, „რად-
განაც — ამბობს გაზეთი — გვგონია, რომ მიწის
საკითხი დასავლეთ საქართველოში არც მომავალში
შეიქმნება ბრძოლის ცენტრად. იქ ეროვნული
ბრძოლა უფრო ვაქრობის და მრეწველობის ღერძ-
ზე ტრიალებს; ამიტომ, ჩვენის შეხედულებით, იქ
შესაძლოა უფრო ხელსაყრელი იყოს ფულის გა-
დადება არა სამელიორაციო, არამედ ფართო სავა-
ჭრო და სავაჭრო და სამრეწველო კრედიტის მო-
საწყობად“...

ამიტომ საჭიროა დასაწყისშივე გამოვთქვათ
ჩვენი აზრი ამ საკითხის შესახებ. თუ გამოვარკვევთ
სამელიორაციო კრედიტის შინაარსს, დავინახავთ
რომ საზოგადოთ სამელიორაციო კრედიტი, რო-
გორც ასეთი, მართო უკანასკნელი ნაბიჯია დღე-
ვანდელ კულტურულ სამეურნეო ცხოვრების წინ-
სვლისა და მასზედ დამყარება ჩვენი იმედებისა, ქარ-
თულ მიწა-წყლის მწვავე საკითხის ჩვენდა სასარგებ-
ლოდ გადაწყვეტაში მეთად საექვოა. მელიორატიუ-
ლი კრედიტი ემმარება იმ მემამულეებს, ვისაც
სურთ: მინდვრების მორწყვა, ჭაობების დაშრობა,
მდინარე წყლების მოგვარება (урегулирование
рек), ჯებირების მოწყობა (устройство плотин)
ტყეების გაშენება, მინდვრების გაშენდა და სხვა
აქ გვარი მსხვილი სამეურნეო გაუმჯობესება... ამ
მუშაობას კი საზოგადოთ მემამულე მაშინ ჰყიდებს
ხელსა, როცა სხვა თავის გამოსადეგ მიწების შე-
ძლებას კულტურულ მავლით და მოსავლით ბო-
ლომდისა შრეტავს და, რასაკვირველია, იწვევს განზე
და ცდილობს გამოუსადეგარი ალაგებიც გამოიყე-
ნოს, გინდ ამ საქმეს დიდი ხარჯებიც მოჰყვეს... აი
აქ სამელიორაციო კრედიტის მნიშვნელობა დი-
დია... აღმოსავლეთ საქართველოში კი ამ კრედიტს
ჯერ-ჯერობით საყურადღებო ნიადაგი არ მოეპოვე-

ბა... მაგალითად, როდესაც ჩვენში მრავალი საუკეთესო სარწყავი მიწები დღევანდელ ლარებ მეურნეობის წყალობით ქართლელ მემამულეს დეფიციტს აძლევენ, რისთვისაა საქირო სამელიორაცია კრედიტი?.. სადგურ სკრის ახლო იწყობა ვეებერთელა ქაობი, მიდის ს. ქვემოხვედურეთზე და ს. ქარელამდის. როცა შევეკითხე იქაურ მემამულეებს რატომ არ დააშრობთ ქაობს და არ გამოიყენებთ ამ მშვენიერ ვაკე ალაგს თქვენდა სასარგებლოდ, სიცილით მიპასუხეს... სხვა უკეთესი ალაგი ვერ გამოგვიყენებია და ამაზედ ვილა იფიქრებსო...

საზოგადოთ ცნობილია, რომ **მელიორაცია სასარგებლოა იქ, სადაც ინტენსიური მეურნეობაა გაჩაღებული, და სადაც მიწების ფასი დიდია...** ამ მხრით დასავლეთ საქართველოში სამელიორაცია ამხანაგობათა მოწყობა უფრო შესაძლოა და ბევრ რაიონისთვის აუცილებელიც, რადგან ნიადაგიც მომზადებულია... მიწა ძალიან გაძვირდა, ინტენსიურმა მეურნეობამ მოიკიდა კიდევ ფეხი ზოგ კუთხეებში და ხალხს ვეღარ ჰკვებავს მოვლილი მამულებიც.

მასთან ერთად დასავლეთი საქართველო მრავალ უვარგის ადგილებითაა სავსე, მაგალითად ქაობებით, ურწყავ ალაგებით და სხვა.

იქ სამელიორაცია კრედიტის გზა გაიხსნა... აღმოსავლეთზე კი, სადაც მეურნეობა დაქვეითებულია, საუკეთესო მიწები ჩალის ფასად გვეყიდება; სამელიორაცია კრედიტს ჯერ-ჯერობით მნიშვნელობა ეკარგება და ამიტომ მასზედ დამყარება ჩვენი იმედებისა, როგორც ქართლ-კახეთის მიწა-წყლის საერთო ქირ-ვარამისაგან მსხნელისა — შეუძლებელია.

მართალია, საზოგადოთ ამ კრედიტსაც დათმობილი უნდა ჰქონდეს ალაგი საერთო ჩვენს საკრედიტო სისტემაში, მაგრამ დღეს-დღეისობით საქართველოში ამ სიეციალურ კრედიტის მოწყობას ის განსაკუთრებული ყურადღება არ უნდა მიექცეს, როგორც ეს მოსდის ჩვენს პრესას, რადგანაც ბევრი ელემენტალური და უფრო საქირო მოთხოვნილებანი ჩვენი სამშობლოსი უკრედიტოდ იმყოფება.

(შემდეგი იქნება)

დავით კახელი.

„გუბერნიის დემოკრატია“

აკაკი წერეთლის ჩასვლამ მოსკოვში დიდი სალაპარაკო მასალა მისცა მოსკოვის გაზეთებს. დიდმა გაზეთებმა წერილები უძღვნეს მხცოვან მგოსანს. მისი ინტერვიუ ისეთი საინტერესო გახდა, რომ ოფიციალური „კავკაზი“ იძულებული იყო ხმა ამოეღო. მოსკოვის ქართველებმა მის პატივსაცემლად გამართეს ბანკეტი, რომელზედაც დაესწრნენ რუსულ ლიტერატურის და ჟურნალისტიკის წარმომადგენელნი. ამასთანავე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი უდიდესი ლირიკოსი განსაკუთრებით პოლიტიკურ თემებზედ ლაპარაკობდა. ერთის სიტყვით, ხელში შეგვჩა დიდსარგებლიანი პოლიტიკური აგიტაცია, რომელიც ძლიერად აღიბეჭდება, როგორც რუსეთის მოწინავე, ისე ქართველ საზოგადოების მენსიერებაში. ექვი არ არის რომ პოეტს, რომელიც თავის კერძო საქმეებისთვის იყო წასული რუსეთს, წინად-განზრახულად არ ჩამოერთმევა ასეთი საქციელი და მოსკოვის პრესა დიდი მადლობის ღირსია, რომ ასე ყურადღებით მოექცა მგოსანს, რომლის ორმოცდაათი წლის მოღვაწეობის იუბილელი ამ მცირე ხანში გადავიხადეთ, მაგრამ, როგორც ხედავთ, ბოლო ფრიად საინტერესო გამოდგა და ასეთ ფაქტს იძულებული ვართ დიდი ანგარიში გაუწიოთ.

მაგრამ ამასთანავე ერთად არ შეგვიძლიან არ გავიხსენოთ მეორე უფრო დიდი ფაქტი, რომელზედაც უნდა ვსწეროთ კიდევ და ვილაპარაკოთ. სულ ერთი თვის წინად საქართველოს დეპუტატმა ვ. გელოვანმა მინისტრ პრეზიდენტის დეკლარაციის საპასუხოდ წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც აღნიშნა საქართველოს ავტონომიის საქიროება. მაშინვე იქმნა აღნიშნული ქართულ პრესაში, რომ ასეთ დიდ განცხადებას სათათბირო, პრესა და მოწინავე საზოგადოება ყრუდ შეხვდა. თავისთავად ასეთი განცხადება დიდი ფაქტია. გამოსვლა რომელიმე ერის დეპუტატისა და განცხადება, რომ ჩემი ხალხი თვითმმართველობას თხოულობსო, ნიშნავს, რომ სახელმწიფოს ცხოვრებაში დგება ახალი ხანა, რომელსაც ანგარიში უნდა გაუწიოს პარლამენტმაც და სახელმწიფომაც. ყოველი გამოსვლა დეპუტატისა ევროპის პარლამენტებში და მეტადრე ასეთი გამოსვლა, — სენსაციას გამოიწვევდა, ალაპარაკებოდა უპირველესად ყოვლისა თვით პარლამენტი, ალაპარაკებოდა პრესა, საქირო იქმნებოდა გამომ-

ზევება საზოგადოებრივ აზრისა. მაგრამ მსგავსი რამ არ მომხდარა რუსეთში. იმიტომ კი არა, რომ დებუტატ გელოვანის განცხადება ანგარიშ გასაწევი არ იყო, ან ისეთი ეფექტით და მნიშვნელობით არ იყო წარმოთქმული. ჩვენ გვგონია, მიზეზი ამისა მრავალია და მათი გათვალისწინება მეტად არ იქმნება.

უპირველესად ყოვლისა ასეთი ფაქტი რუსეთის პარლამენტარიზმის უსუსურობასა ნიშნავს. თანამედროვე კონსტიტუციონური სახელმწიფო სამი ფაქტორისაგან შედგება: პარლამენტი, მთავრობა და ტახტი. იმ ქვეყნებში, სადაც პარლამენტარიზმი გამჯდარია, ეს სამი ფაქტორი იმ კიბეს წარმოადგენს, რომელზედაც სახელმწიფოებრივი იდეები მარტო ზეიდან ქვეით კი არ ჩამოდიან, როგორც გამოსახულება მონარქის პრეროგატივისა, ან მთავრობის სურვილებისა, არამედ ქვეიდან ზემოდაც აღიან, როგორც გამოსახულება ხალხის, პარლამენტის უფლებისა. ამ მხრივ, რუსეთის პარლამენტარიზმი ამ სისრულემდე არ მისულა. ამით აიხსნება რომ სურვილი პარლამენტისა, ან მისი ნაწილისა, არამცაუ ვერ ჰპოებს მომხრეს მთავრობაში, უპასუხოდაც კი რჩება ამ უკანასკნელის მიერ. რუსეთის მინისტრები არასოდეს არ ლაპარაკობენ დებუტატებზედ, პარტიებზედ, პროგრამებზედ, ერებზედ და მათ მოთხოვნილებებზედ. კერძოდ ეროვნულ საკითხში — ფინლიანდია და პოლონეთი — აი ორი სახელი, რომელსაც ახსენებენ ისინი და ისიც იმიტომ, რომ ოფიციალურად ფინლიანდია „დიდი სამთავროა“ და პოლონეთი „სამეფო“. ამ მხრივ, მინისტრთა ლექსიკონი გამდიდრებას თხოულობს და, რასაკვირველია, ბრძოლა პოლიტიკურ უფლებებისთვის იქ, სადაც ჯერ შეთვისებული არ არის უბრალო პოლიტიკური და ისტორიული ტერმინოლოგიაც, ცხადია, ძნელზედ უძნელესი იქმნება. ოფიციალურ რუსეთს ეჩითრება არა მარტო სახელი „ავტონომია“, რომელიც არ არსებობს, მას ეჩითრება თვით სახელი „საქართველო“, რომელიც არსებობს, როგორც კულტ-ისტორ. ერთეული თუ გავითვალისწინებთ ყველა ამას, მაშინ ცხადი იქმნება ჩვენთვის ის მიზანიც, რომელიც უნდა დაისახონ ჩვენმა დებუტატებმა სათათბიროში, სიტყვა „საქართველოს ავტონომია“ მათ უნდა ვარდაქმნან საპარლამენტო ტერმინად და ეს კი ცოტას არ ნიშნავს. ქართული პოლიტიკური იდეა უნდა უზრუნველ იყოს ამ მხრივ, რომ მას ანტისახელმწიფოებრივ იდეად აღარა სთვლიდნენ. ეს კი მოხდება

მაშინ, როცა იგი მოიპოვებს თავის პოზიციას პარლამენტში.

მაგრამ ზემო აღნიშნულ მიზეზის გარდა, არის კიდევ სხვა, რომელმაც ზიანი მიიყენა დებუტატ გელოვანის პირველ გამოსვლას. სოციალდემოკრატიული პოზიცია ჩხეიძესი და ჩხენკელისა აუცილებლივ მავნე ჩვენთვის. ექვი არ არის რომ მათ შეიტანეს დისონანსი გელოვანის პირველ ნაბიჯში. არას ვიტყვით ე. გეგექორზედ, რომლის საქციელი არ შეეფერება თუგინდ ყოფილ პარლამენტრისტს; განცხადება დებუტატ ჩხენკელისა, რომ ქუთაისის დემოკრატიაში ვითომ მათ დაავალა თავის ინტერესების დაცვა — აბსურდია იურიდიულად და უარესი აბსურდია თვით პარლამენტარიზმის თვალ საზრისით, რადგან ვერავითარი „დაბარება“ ვერ დაუშლის ვ. გელოვანს გამოვიდეს და ჩხენკელზე უკეთესად დაიცვას ქუთაისის გუბერნიის დემოკრატიის ინტერესები. და თუ გელოვანი ამის უნარს გამოიჩენს, ვერავითარი „გუბერნიის დემოკრატია“ ვერ შესძლებს მაშინ ამ დაცულ ინტერესების უარყოფას. მაშასადამე ბრძოლა ამ სფეროში, რომელიც ბავშვურ „შენ-ჩემიანობასა“ ჰგავს, უნაყოფოა არსებითად და უკანონოა ფორმის მხრივ, რადგან მანდატი გუბერნიისა, ყოველ შემთხვევაში, ეკუთვნის გელოვანს და არა ჩხენკელს.

ასეთი გალაშქრება ჩხეიძესი და ჩხენკელისა დაცვირებულია იმ პოზიციასთან, რომელიც უკავიათ საზოგადოთ ს.-დემოკრატებს თვითმართველობის საკითხის შესახებ. მოყვანა იმ საბუთებისა, რომლითაც ებრძვიან ისინი ავტონომიის იდეას, გამეორება იქნებოდა მრავალჯერ თქმულისა, აღსანიშნავია მხოლოდ, რომ ამ საბუთში არ არის არც ერთი ისეთი მოსაზრება, რომელიც მათთან კამათს შესაძლებლად ხდიდეს. მათის აზრით საქართველოს ავტონომია იმიტომ არის რეაქციონური და ნაციონალისტური მოთხოვნილება. რომ იგი ქართულ შოვინიზმის კერად გადაიქცევაო მაგრამ განა შესაძლებელია ასეთი უცნაური აზრი საკამათო საგნად გახდეს? მომავალს საქართველოს ავტონომიას შესაძლებელია ყველაფერი დაემართოს და იგი მართლაც შოვინიზმის კერად იქცეს, მაგრამ აქედან დასკვნის გამოყვანა მაინც არ შეიძლება, რომ ავტონომიის დანიშნულება — შოვინიზმია. როცა წვიმა მოდის — ჩვენ ვსველდებით ხანდახან, მაგრამ ვერც ერთი ასტრონომი ვერ გეტყვით, რომ წვიმის დანიშნულება სწორედ ეს დასველებაა, მაშასადამე მათი მთავარი არგუმენტი ვერ უძლებს სულ მცირე კრიტიკასაც.

მიუხედავად ამისა, მათ ბრძოლა გადაიტანეს სათათბიროში და როდესაც დებუტატ გელოვანმა თავისი სიტყვა წარმოსთქვა, ამით მათაც საბუთი მიეცათ მოეხდინათ თავიანთი „შესანიშნავი გალაშქრება“, რამაც ცოტა მნიშვნელობა არ იქონია, თავისი გალაშქრებით მათ მოიწადინეს დაენახებინათ სათათბიროსთვის, რომ ვ. გელოვანი არამცთუ საქართველოს სურვილის გამომხატველი არ არის, არამედ თვით მისი ამომრჩეველი გუბერნიაც კი არ სთვლის მას თავის დებუტატად. ეს, თავის თავად არა საკადრისი საქციელი დაასაბუთეს იმით, რომ „გუბერნიის დემოკრატია“ თავის ინტერესების დაცვა მათ—ჩხენკელს და ჩხეიძეს დაავალა და არა გელოვანს. აქედან დასკვნა ერთია—მაშასადამე „გუბერნიის დემოკრატია“ წინააღმდეგია ავტონომიისა.

აი რა პირობებში აიხადა ჩადრი საქართველოს ავტონომიის იდეამ სათათბიროში და რა პირობებში უჩვენა სახე რუსეთს. ერთის მხრივ მას შეხვდა დადუმებული მთავრობა, რომელიც მზად არის ყოველი თავისი ჭირი დამალოს, თუმცა ჭირი თითონ არა მალავს თავსა, მეორეს მხრივ—„გუბერნიის დემოკრატის“ ვეკილები ჩხეიძე და ჩხენკელი. და ეს ერთხელ კიდევ ზედმეტად გვიჩვენებს, თუ როგორ უნდა იმოქმედოს ქართულმა საზოგადოებრივმა აზრმა. ორ ისეთ დებუტატის ყოლა სათათბიროში, რომლებიც მუდამ წინააღმდეგნი იქმნებიან

და მუდამ ასე სკანდალურად განმარტავენ დებუტატ გელოვანის ყოველ გამოსვლას, საკუთარ გულზედ ორ შხამიან გველის ყოლას ნიშნავს. ისინი კბენას არასოდეს არ მოიწლიან. მაგრამ ეს ყველა არ არის გველის შხამი, საქიროა გველის სისხლსუტ და ჩვენც უმთავრესად იმას უნდა დავემყაროთ, რომ ეს უკანასკნელი მათ არა აქვთ.

როდესაც ისინი „გუბერნიის დემოკრატის“ აყენებენ წინ, მაშინ ქართველი საზოგადოება მოვალეა თავის მხრივ მიუთითოს ისეთ პირებზედ, რომელთაც უფლება აქვთ საზოგადოების სახელით ილაპარაკონ. აკაკი წერეთელი გამოსახულებაა ქართულის ჰენისა, იგი დაგვირგვინებული პოეტია თავის ხალხისა და მისი აზრი, გვგონია, ღირს რამედ. მან, როგორც ნამდვილმა მამულიშვილმა რუსეთის საზოგადოებას უთხრა სწორედ ის, რასაც ფიქრობს ქართველი ხალხი და თუ რუსეთის მოწინავე საზოგადოება ვერ მოგვეცემს მას რაზედაც ლაპარაკობდა პოეტი, ყოველ შემთხვევაში მის სიტყვებიდან გამოიყვანს იმ საქირო დასკვნას, რაც გამოსაყვანია. მოსკოვის გაზეთთა ინტერვიუ მოეფინება მთელ რუსეთს და იგი მოვალე იქმნება ყური დაუგდოს არა „გუბერნიის დემოკრატის“ ვეკილებს, არამედ იმას, თუ რას ამბობს ერთი უდიდესი თანამედროვე ქართველთაგანი.

ა—ი.

თავ. 3. ი თუმანიშვილის „განმარტებანი“ *)

წასულ კვირას ჩვენ დავინახეთ, სხვათა შორის თუ რა აზრისა იყო თავ. თუმანიშვილი შეერთებაზედ და როცა ადამიანი ისეთი აზრისაა, რომ შეერთება სასარგებლოა, მზისა და ზღვისაკენ ღია კარია, რომ იგი ააყვავებდა მთელ მხარეს—განა შეიძლება დავიჯეროთ, რომ მას ამ შეერთებაში წილი არ უდევს და თავის ამომრჩეველთა წინაშე დანაშაული არ უძღვის? თუ კი კაცი იმისთანა ლგოტისათვის, რომელსაც ერთი მილიონი ზარალი მოაქვს, არც ხარჯს, არც პირად შრომას არ ზოგავს, როგორც თვითონ ამბობს, განა რომ უფრო თავ-გამოდებით მოჰკიდებდა ხელს ისეთს საქმეს, რომელიც აყვავებას გვიქადდა (მისი შემეცნებით).

მაგრამ მთელი ბრალი თურმე ბაგრატიონისაა: მან ისეთი პირობა შეჰკრა რუსეთ-აზიის ბანკთან, რომ თავ. აზნ. ინტერესები დაცული არ იყო კარგად. ეს დიდი შეცდომა არის. ქვეყანაზედ ისეთ ხელშეკრულებას ვერ იპოვნით, რომ ლონიერ და გაიძვერა კაცს მისი გათელვა არ შეეძლოს და რუსეთში ხომ ეს ჩვეულებრივი მოვლენაა: „ისეთი კანონი არ არის, რომ კაცი შიგ ვერ გაძვრესო“. აი ამ მხრივ, ბანკებმა დაარღვიეს დადებული პირობა და კანონი, სასამართლოში კიდევაც შესაძლებელია სიმართლის აღდგენა, რადგან თავ. აზნ. არ შეეძლო სხვისთვის იმ უფლების გადაცემა, რომელიც, თვითონ არა ჰქონდა. ხელშეკრულობის შეექვსე მუხლში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, რომ წესდების მე-21-ე მუხლის შეცვლა არ შეიძლებაო, აქე-

*) იხ. „კლდე“ № 4.

დვან ბანკს ის დასკვნა გამოჰყავს, რომ მე-21 ემუხლი შესაძლებელია ისე შეიცვალოს, რომ სააქციონერო თანხა უსაზღვროდ შეიძლება გადიდდეს. ასევე ხსნის თუმანიშვილიც, მაგრამ მე-21-ე მუხლში ასე სწერია: „Если по утверждению расчётной ведомости и условий выпуска облигаций выяснится, что основной капитал Общества недостаточен для покрытия относимых на него по настоящему уставу расходов (г. о. к. ა. გ. გზაზედ თბილისიდან თელავამდის), то Общество обязано, на всю недостающую для сего сумму, выпустить дополнительные, негарантированные правительством акции“.

როგორც ხედავთ, თუმანიშვილის და ბანკების მოქმედება სრულებით სპობს ამ მუხლის ძალას და მათ ისე ესმით, ვითომც სააქციონერო თანხის გადიდება შესაძლებელია უსაზღვროდ. ჯერ ერთი იგიწყებენ იმას, რომ გადიდება თანხისა შეიძლება იმდენად მხოლოდ, რამდენადაც მოითხოვს არსებული კახ. რკ. გზა ე. ი. რასაც მოითხოვს ზედმეტს ხარჯს თ ბ ი ლ ი ს ი დ ა ნ თ ე ლ ა ვ მ დ ი ს და არა დაუსრულებრივ... ინდოეთამდის. მეორეც, ეს აქციები გარანტიას მოკლებულნი არიან და ბანკმა კი მთავრობის გარანტია ხრიკებით მიითვისა: სულ ახალი გზა, სიგრძით სამჯერ მეტი კახ. რკ. გზაზედ - ამ უკანასკნელის გაგრძელება დასახა.

ან რა გასაკვირველია, რომ მამონას მოსამსახურე ბანკები არაფერ ხრიკებს არ მოერიდებიან, რომ სადმე რასმე გამოჩინენ, მაგრამ გასაკვირველი ის არის, რომ „ჩვენი“ თუმანიშვილი არამთუ ამას ამართლებს, პირიქით შველის, ხელზედ იხვევს, როგორც თავის გასამართლებელ საბუთს და ჯენგინის მიდამოებს შესცინის. მაგრამ, ან რა გასაკვირველია... ნავთის წყარო?... ეს ხომ წყაროა ოქროსი და... ქველმოქმედებისაც... მეგობრების და სახელ-პატივის შეძენისაც... ოღონდ მოუცდა...

მერვე მუხლის ძალით, მართალია, ბანკს ნება აქვს გამოუშვას ახალი აქციები, მაგრამ იმდენი მხოლოდ, რამდენიც დასჭირდება ისევ იმავე გზას, თბილისიდან თელავამდის, და არა სულ სხვა რომელიმე გზას (მით უფრო, რომ, როცა ეს ხელშეკრულება იწერებოდა, თუმანიშვილის გზის ასეთ აბრუნდის ვერაფერ წარმოიდგენდა). ეს იქიდანაც სჩანს, რომ ხელშეკრულების მეშვიდე მუხლის ძალით, ბანკს უნდა დარჩენოდა საკუთრებად ის ზედმეტი ფული, რომელიც გადარჩებოდა თავდაპირველ თანხას და თუ კი შესაძლებელი იყო წარმო-

გენა, რომ გზა ერთი ოთხად იქცეოდა - მტკნარა-სისულელე იქნებოდა 23-ე მუხლი წესდებისა, რომელსაც ამტკიცებენ ხოლმე თუმანიშვილისაგან ავტორიტეტად ცნობილი სახელმწიფო მოღვაწენი, საცა ნათქვამია: „Если по окончанию устройства желѣзной дороги, во всемъ согласно съ требованіями настоящаго устава, окажется свободный остатокъ... то... часть его поступитъ въ распоряженіе акціонеровъ.“ და აი სწორედ ამ დარჩენილ თანხას უთმობს თავად-აზნაურობა - ბანკს მეშვიდე მუხლის ძალით. და როგორ შეიძლება ეფაქრა ვისმე ნარჩენზედ (остатокъ), თუ კი 126 ვერსის გზა ედოთ კიდევ გულში ასაშენებლად. ყველა ამის შემდეგ პ. თ. გულუბრყვილოდ კითხულობს: მე დავღუპე კახ. რკ. გზა, თუ ბაგრატიონმაო, და ამის პასუხი მხოლოდ ერთია: თუმანიშვილი შველოდა ამ გზის დამღუპველთ, მაშინ როდესაც ბაგრატიონი თავგამოდებით იცავდა კახ. რკ. გზის პატრონობას.

„კურტაყის“ ცნობილ „კურტაყის“ შესახებ თუმანიშვილი ისეთს უცნაურს რასმე სწერს, რომ ბატის ქუჭულებიც კი სიცილით დაიხოცებოდნენ: მეც მივიღე კურტაყი და ბაგრატიონმაცაო და თუ ბაგრატიონისთვის სირცხვილი არ იყო 400,000 მანეთის მიღება, ჩემთვის რატომ უნდა იყვეს სირცხვილი 120,000 მანეთის მიღებაო. დიდად გულუბრყვილო ბატონო პავლე: სირცხვილი კი არა, სასიქადულოა, როცა ვინმე საზოგ. საქმისათვის წმინდა გზით შოულობს ფულს კერძო პირებისაგან, მაგრამ სირცხვილია, როცა საზოგადო საქმის დაღუპვაში კერძო პირი იღებს საფასურს. თქვენ გულუბრყვილობაში იქამდისაც არ მიხვიდეთ, რომ იკითხავდეთ რა სირცხვილია, რომ იუდამ ქრისტეს გაყიდვაში 30 ფული მიიღოს, როცა ყოველი ვაჭარი თავის საქონელში ფულს იღებს ხოლმე. ბატონო, თვითონ ეს საქციელიც რომ არ იყოს სირცხვილი, სირცხვილია ეს არ იცოდეს მაინც ადამიანმა... მერე მაგისთანა საზოგადო მოღვაწემ.

აი, ყველა ამის შემდეგ, ბატონი თუმანიშვილი იმეორებს რამდენჯერმე იმ მოსაზრებას, რომ **შვერთება** საუკეთესო გასავალი იყო იმ მდგომარეობიდან, რომელიც შეცდომით (по неосторожности) შეჰქმნა ბაგრატიონმაო.

გარეგნულად მართლაც კარგად გამოდის, მაგრამ რა ნება ჰქონდა თუმანიშვილს, თუ კი იმას ან გული შესტკიოდა თავ-აზნ. საქმეებისათვის, ან მართლაც ხედავდა საფრთხეს მისი ინტერესებისათ-

ვისა.—რა ნება ჰქონდა პეტერბურგში ჯდომისა იმ მიზეზით, რომ „ბილეთი ვერ იშოვნა რკინის გზისა.“ ის ადამიანი, ვისაც შეგნება აქვს იმისა და გარჩევა, თუ რა არის მთავარი და მეორეხარისხოვანი, რა არის დიდი საქმე და მცირე — ის ვერ მოიმიზეზებდა: ბილეთი ვერ ვიშოვნეო და სწრაფად წამოვიდოდა თბილისისაკენ საერთო კრებაზედ.— არა, ისა ზის პეტერბურგში და ზრუნავს და ფიქრობს, რომ შეერთება მარგებელია და კიდევ შევლის ამ შეერთებას—მაშ რაღას აბრალებთ სხვისა. პირიქით უნდა დაუმაღლოთ, რომ ისეთი უთაურობა გამოიჩინეს, რომ მათი წყალობით კარგი და პატიოსანი, მომგებიანი საქმე დასრულდა.

მაგრამ ამდენი გამბედაობაც რომ არა გაქვთ. თქვენ მარტო ხრიკებით გინდათ გაამართლოთ ასეთი საქციელი, რომელიც სამუდამოდ სპობს პატიოსანი ქართველი მოღვაწის სახელს.

აბა რა საკადრისია თუნდაც ქვევით მოყვანილი თქვენი „მოსაზრებანი“: 1) თავ.-აზნ. თავის მინდობილობაში არა უთქვამს რა შეერთების წინააღმდეგ,“ მაშასადამე არც იყო ამის წინააღმდეგეო. 2) კენჭის ყრის დროს ბევრი გავიდნენ სხდომიდან და ვინც დარჩა, იმათშიაც ბევრი იყო ასეთი მინდობილობის (ПОЛНОМОЧІЕ) წინააღმდეგეო; რომ შევაერთოთ ესენი, მივიღებთ უმეტესობას, რომელიც წინააღმდეგა მინდობილობასაო. და 3) თვითონ ბაგრატიონი ვერ გავიდა მარშლად, მაშასადამე ესეც ამტკიცებს, რომ თავ.-აზნ. არ მიდიოდა შეერთების წინააღმდეგ, რადგან იურიდიული მდგომარეობა უიმედო იყო, ბაგრატიონის წყალობითაო.

ჯერ 1) ვინ არ იცოდა, რომ დებუტატთა და წინამძღოლთა კრებული მომხრე იყო ცალკე გზისა და მაშასადამე, თუ საზოგადო კრება მინდობილობას (ПОЛНОМОЧІЕ) მათ აძლევდა, მარტო იმ მოსაზრებით, რომ ეს გზა არ დაკარგულიყო ჩვენთვის, როგორც მებატონესათვის. ცალკე აღნუსხვა ყოველ სტრიქონისა რა საჭირო იყო. 2) კენჭის ყრის დროს თქვენ პეტერბურგში ბრძანდებოდით და ჩვენ კი ჩვენის თვლით ვხედავდით, და ეს აღნიშნულიც არის „პროტოკოლებში,“ რომ გავიდა კრებიდან მხოლოდ ოციოდე „ოპოზიციონერი“ და დემოკრატი (უკანასკნელთა წევრები ნათლად იცავენ აქამდის კახ. რკ. გზის გამოცალკევებას)* და დარჩენი-

ლებში ერთხმად გადასწყდა თითქმის, კახ. რკ. გზის შესახებ—ყველაფერი მიენდოს დებუტატთა/საკრებულოს. ბევრი, მართალია, უკმაყოფილონი იყვნენ ბაგრატიონის თავმჯდომარეობით (კენჭის წარმომადგენელი), მაგრამ ამ უკმაყოფილებას თავითარი დამოკიდებულება არა ჰქონდა კახ. რკ. გზის ბედ-იღბალთან. ეს თქვენი „ოპოზიციის“ საქმეა მხოლოდ, რომ კაცი თუ პირადათ შეიძულეს, ყველა იმისი გაკეთებული საქმე, თუნდაც საუკეთესო იყვეს,— უნდა ლაფში ამოსვარონ და გაანადგურონ, თორემ ახლა ბევრმა ისწავლა გარჩევა ავისა და კარგისა ერთსა და იმავე ადამიანში.

რაც შეეხება 3)-ს ბაგრატიონი არ აირჩიესო იმიტომ, რომ არ სურდათ კახ. რკ. გზის დახსნაო, ამის სიყალბე იქიდგანაცა სჩანს, რომ დღეს ბაგრატიონი მეორედაც არ აირჩიეს, მაგრამ საკითხი კახ. რკ. გზისა ყველასაგან ერთხმად*) იქმნა გადაწყვეტილი, რომ იგი უნდა განცალკევებული იყვეს.

და მარტო ამისათვის ემხრობოდა ერთი ნაწილი თავ.-აზნ. ბაგრატიონს, როგორც საუკეთესო და მედგარ დამცველს კახ. რკ. გზისას. მარტო ამიტომ ვუერთდებოდით ჩვენც პატიოსნებით სავსე ადამიანს. მარტო ამიტომ საღამს ვაძლევთ ახალ მარშალსაც, რომლის მოვალეობაა, უპირველეს ყოვლისა თავგამოდებით დაიცვას კახ. რკ. გზის განცალკევება, და მარტო მაშინ დაიშახურებს ნდობას და სიყვარულს არა მარტო ერთი მუქა თავ.-აზნაურობისაგან, არამედ მთელი ხალხისაგანაც. ჩვენ წინადაც ვწერდით და ეხლაც ვიმეორებთ,—კახეთის რკინის გზაა ის გზა, რომლითაც უნდა იაროს დღეს მარშალმა ხალხის ნდობისაკენ. თუ ამ გზას გადასცდა, იგიც მარტო თუმანიშვილის სახელს დაიშახურებს.

ბატ. თუმანიშვილს ვერ წარმოუდგენია, თუ

*) მთელმა ადგილობრივმა რუსულ-ქართულმა პრესამ ერთხლოვნად გაიზიარა საზოგადოების და თავ.-აზნ. მისწრაფება, რომ კახ. რკ. გზა განცალკევებული უნდა იყვეს.

„ზაკ. რეჩიკ“ კი ეს არქი-„ოპოზიციონური“ ორგანოც მიხვდა თავის შეცდომას და გადაჭრით აღიარა სურვილი კახ. რკ. გზის განცალკევებისა, და ეხლა გამოდის „ჩვენი დროება“, რომელიც ერთად ერთი იცავს „შეერთებას ... „ხალხის ინტერესების გულისათვის“... და იწყობს იმით, რომ ამავე გულუბრყვილო ხალხს ატყუებს. საკვირველი მხოლოდ ის არის, რომ ქართული თარგმანი („ჩვენი დროება“) რუსული გახუთისა („ზაკ. რეჩიკ“) ესე ეწინააღმდეგება თავის დედანს, მით უფრო, რომ ერთი და იგივე პირები იღებენ მონაწილეობას: გ. ამირაჯიბი, პ. გოთუა, გ. გვახავა, კ. და პ. თუნაშვილები და სხ. გვიხსენ უფალო იანუსებისაგან.

*) ეს წერილი დაწყობილი იყო, როცა „ოპოზიციის“ ორგანომ „ზაკ. რეჩიკ“მაც ვარკვევით გამოსახა თავისი აზრი: მოწინააღმდეგე წერილი № 17-ში ამბობს: „Новому предводителю слѣдуетъ исчерпать всѣ средства для возстановленія дворянскихъ правъ, пока это еще не поздно“; რაც ეწინააღმდეგება თუმანიშვილის მოსაზრებას.

როგორ, რა გზით შეიძლება დახსნა კახ. რკ. გზისა, როცა ბაგრატიონმა იურიდიულად, ხელშეკრულებით გადასცა ეს გზა სრულ უფლებაში რუსეთ-აზიის ბანკსაო. ჯერ ერთი, ჩვენ ზემოდ დავინახეთ, რომ ბაგრატიონმა კი არ გადასცა, თუმანიშვილმა, ტაგიანოსოვმა და ბანკებმა გაიძვერაობით და იურიდიულის ხრიკებით მოახერხეს ფორმალურად იმისთანა მდგომარეობის შექმნა, ვითომ მათი საკუთრება ყოფილიყვეს და მეორეც თავს რად იკატუნებს ბატ. პ. ი. და ვითომ არ იცის რა საშუალებანია ის საშუალებანი, რომლითაც თავ.-აზნ. ეხლა სურს წამხდარი საქმის გამობრუნება. ეხლაც ხომ არ წამოსცდება მ ქრისტიანობის თავს ნათქვამი სიტყვები: „Да впрочем...“ ან იქნება ეხლა გაუტკბა მხოლოდ იურიდიული ფორმები, რომ თავგამოდებით, ხაზ გასმით ადასტურებს: „Соединение дорогъ—это право, по договору князя Багратионъ-Давидова, предоставленно русско-азиатскому банку“. და ამ „უფლების“ წინააღმდეგ წასვლა, თუმანიშვილს ელემენტალურ სამოქალაქო კანონმდებლობის დარღვევად მიაჩნია. როგორც გიჟირდეს, ისე გიღირდესო, ნათქვამია, და თუმანიშვილიც ადასტურებს რუსეთ-აზიის ბანკის „უფლებას“ ე. ი. მცარცველ ხრიკს, მარტო იმიტომ, რომ გაუჟირდა; ერთის მხრით ჯენგინის წყაროები, მეორე მხრით აუარებელი ვალები. ერთის მხრით ს.-ბაქოს გზის დირექტორობა, მეორეს მხრით—აჯანყებული თავად-აზნაურობა—რა ქნას მაშა, თუ იურიდიული ფორმალობით მაინც არ გაიმართლოს თავი.

ბაასი გაგვიგრძელდა და აღარ შევჩერდები დაწვრილებით სხვა მარგალიტებზედ, მაგრამ ერთს კი ვიტყვი, რომ თუმანიშვილი გვითითებს პუტილოვზედ, რომელიც ვერ დაარღვევდა ხელშეკრულებას, რადგან პასუხის გებას მოერიდებოდაო. არ ვიცი, მართლა ეგრე ღვთისაგან გულუბრყვილოა თუმანიშვილი, თუ განგებ იგულუბრყვილებს თავსა: ნუ თუ არ იცის, რომ არც ერთი ტუტუციც კი არ გაჰბედავს ხელშეკრულობის დარღვევას, რომ წინდაწინვე იცოდეს, როგორ პასუხს აგებს და პუტილოვი ხომ ეგრე სულელიც არ არის, მაგრამ ჯერ ერთი პუტილოვი სარგებლობს იურიდიული ხრიკით და ჰგონია, რომ ფონს გავა და მეორეც, პ. ი. თუმანიშვილისთანა ცნობილი თანაშემწე რომ არა მყოლოდა, როგორც თავ.-აზნ. წარმომადგენელი და წინამძღოლი, იქნება არც კი გაებედნა და თუ გაებედა, მხოლოდ იმიტომ, რომ თუმანიშვილმა,

როგორც თავ.-აზნ. ინტერესების გამომხატველმა ისიც და სხვებიც დაარწმუნა, რომ თავ.-აზნ. არამთუ არაფერი საწინააღმდეგო არა აქვს შეერთებისა, პირიქით მოსურნეც იყო, როგორც ეხლაც ამტკიცებს თავის განმარტებაში. ამისთანა მდგომარეობაში, როცა იმის წარმომადგენელი, ვისთანაც ხელშეკრულობა მაქვს დაწერილი, მარწმუნებს: მე და ჩემ ამხანაგებს გვსურს შეერთება გზებისაო, — გიჟი უნდა ყოფილიყო პუტილოვი და არ ესარგებლნა დროთი, რომ საქმის გაფართოვებით კიდევ კარგი ლუკმა ეგდო ხელში.

თუ კი არამთუ არ უკვირს, კვებულობს კიდევ პ. ი., რომ „ტაგიანოსოვმა და ფეოდოროვმა ისარგებლეს ჩემი მდგომარეობითაო“ (მუნდირით, სახელით და სხ.). რად უკვირს ანოლოგიური საქციელი პუტილოვისაგან? და ასეთი გაბედულება თქვენი „ლამაზი თვალებისთვის“ კი არ გამოიჩინა, როგორც თქვენ ოხუნჯობთ, თავისი საკუთარი მოგებისათვის. ხელი-ხელსა ჰბანსო, ნათქვამია, და თქვენც ორთავემ საკუთარი საქმეები გაჩარხეთ და ახლამითომ გიკვირთ კიდევ: ჩვენ რა შუაში ვართო: ჩემი და პუტილოვის ბრალი კი არა, თვით კახ. რკ. გზის საზოგადოების ბრალიაო. მან თვითონ მოინდომა შეერთებაო და... ის კი გახსოვთ, კერძო თათბირზედ მ ქრისტიანობას რომ გკითხეთ მე: „ამ ჟამად ვისაგან შესდგება „კ. რ. გ. საზოგადოება“—მეთქი და თქვენ იძულებული იყავით დათანხმებულიყავით, რომ ეს საზოგადოება ჯერ მხოლოდ „ბანკია“.

რასაკვირველია, ბოროტ განზრახვას ვინ დაგწამებთ, რომ თქვენ განგებ, შეთქმულობით დაარღვიეთ თავ.-აზნ. ინტერესები, მაგრამ თქვენ საკუთარ ინტერესების დაცვაში რომ ჩვენი ინტერესი გამოიქყლიტა, ეს ცხადზედ — უცხადესია.

დასასრულ იმას ამბობს თუმანიშვილი, რომ გული ამიცრუვდა კახ. რკ. გზის საქმეზედ, რადგან ბაგრატიონი უჩემოდ აკეთებდა ყველაფერსაო. ვსთქვათ, ბაგრატიონმა გაწყენინათ — განა ეს წყენა მთელ თავად-აზნაურობაზედ უნდა ამოგეყარათ და, როცა ძალა იგდეთ ხელში, საქმის გაფუჭებით დაგემტკიცებინათ ბაგრატიონის უვარგისობა? სირცხვილი ამისთანა ადამიანს. კეთილ-შობილი ადამიანი, ყოველთვის მარტო კეთილ-შობილ საშუალებას მიმართავს, თქვენ კი ბაგრატიონის ჯიბრით საზოგადო საქმე დაღუპეთ მოუფიქრებლად.

აი როგორ იმართლა თავი თავ. თუმანიშვილმა და განა არა სჯობდა ისევ ჩუმად ყოფილიყო და

არ აღებეჭდა ის, რაც მარტო მისივე გასამტყუნა-
რია და როცა თავისივე ხელით გამოიჭრა ყელი.

მაგრამ, მკითხველო, ნუ დაივიწყებ, რომ თუ-
მანიშვილი, არამთუ არ გავიდა დეპუტატთა საკრე-
ბულოდგან, საიუბილეო ზეიმზედაც კი მიდის და
კახ. რკ. გზის ბედ-იღბალი ეხლაც ცოტაოდნად
მის ხელთაა.

ჩვენთვის ამ ჟამად თავ.-აზნ. ძალა და მიმარ-
თულება იმდენად არის საჭირო, რამდენადაც იგი
გამოგვადგება ეროვნულ საკითხების და საქმეების
დაცვაში. ყოველი მისი ნაბიჯი ამ თვალსაზრისით
უნდა განიზომებოდეს და დაფასდებოდეს. ახალ
არჩეულმა მარწალმაც უნდა ანგარიში გაუწიოს
ამას და სწორი აღლო აართვას ჩვენი საზოგადოე-
ბის გამოღვიძებას, თუ სურს პატივისცემა დაიმსა-

ხუროს და ზურგი მოიმაგროს. თავდაპირველი საზ-
რუნველი საგანი კი ამ ეროვნულ მიწრაფებაში
არის კახეთის რკ. გზის დახსნა და სხვა საერო-
საქმეები. კახ. რკ. გზის დახსნა — ყველაზე უფრო
ქვა, რომელიც დამახასიათებელი იქნება ახალი
წინამძღოლის მოქმედებისა. ძნელია ეხლანდელი
წინამძღოლის როლი, როცა საქმე ნახევრად წა-
მხდარია, უფრო ძნელია იმით, რომ თუმანიშვილი
ისევ კიხის შიგნიდან მოექცა და ახლა რა მიმარ-
თულებას დაადგება — არავინ იცის, მაგრამ იმედი
გვაქვს, რომ პირადი მიხვედრილობა თავად კონ-
სტანტინე აბხაზისა, მამულის სიყვარული და საზო-
გადოების თანაგრძნობა იმდენს ძალას და უნარს
მოახვეჭინებს, რომ სწრაფად და მდგრად დასძლევს
ამ საკითხს ჩვენდა სასარგებლოდ.

რ. გ.

* * *

სძინავს სოფელსა... პირბადრი მთვარე
ღრუბლების იქით მიეჩქარება,
ხან გამოკრთება სხივ-მოელვარე
და ხან კვლავ ღრუბლებს შეეფარება.

ბედიც ხან მოგვდევს, ხან იკარგება
და როგორც ბავშვებს, გვეთამაშება,
თითქო ჩვენ ვიყვნეთ მთვლემარე მხარე
და ბედი კიდევ სულელი მთვარე.

ი. მკედლიშვილი.

ნ ა ხ ე გ ა რ - მ უ ჭ ა დ ი ზ ლ ო მ ა ტ ე ბ ი

ამ ბოლო დროს „ტმუტარაკანის გაზეთით“
ჩვენშიაც გაჩნდნენ.

მოგეხსენებათ რას უწოდებენ რუსეთში ტმუ-
ტარაკანის გაზეთს?

ან ცარეოკოკშიასკის გაზეთს?

ჩვეულებრივ, ასეთი გაზეთები გამოდიან ყრუ
პროვინციის ისეთ ქალაქებში, სადაც ადგილობრივ

ამბების უქონლობის გამო მარტო მსოფლიო პო-
ლიტიკაზედ სწერენ.

— ჩვენ ვაფრთხილებდით ბეტმან-პოლვეგს...

— ჩვენს მეგობრულ რჩევაზედ ბრწყინვალე პორ-
ტამ მღუმარებით გვიპასუხა...

— თავის დროზედ ჩვენ წინადადება მივეცით
სერ გრეის...

ასეთია კილო ტმუტარაქანის პრესისა.

ერთი ასეთ გაზეთთაგანია სწორედ ჩვენებური „ჩვენი დროება“.

ჩვენებურად შეიძლება მას „ბრუტ საბძელის გაზეთი“ უწოდოთ. ბრუტ საბძელი ჩვენში ის მთა-ადგილია, სადაც არაფერი არა ბდება.

და აი, ამ „ბრუტ საბძელის გაზეთმა“ ამას წინად ერთი წერილი დაბეჭდა, რომელშიაც სომხეთის ავტონომიას თხოულობდა ოსმალეთში;

როგორც მოსალოდნელი იყო, ბრწყინვალე პორტამ უყურადღებოთ დასტოვა „ბრუტ საბძელის გაზეთის“ ასეთი ნოთხოვნილება, მაგრამ მისმა დიპლომატებმა წარმოადგინეს, რომ ეს სულ ეურნალ „კლდის“ ბრალია და გვეკითხებიან:

ვერ წარმოგვიდგენია რად არის ეურნალი „კლდე“ წინააღმდეგი სომხეთის ავტონომიისა ოსმალეთში, როცა ნომხრეა ქართველების ავტონომიისა საქართველოში?

კითხვა როგორც ხედავთ, ფრიად რთულია და არცა გვგონია მოგვეპოვებოდეს ამის პასუხი, ერთ გარემოებას რომ არ გამოვყავდეთ ამ მეტის მეტად ძნელ მდგომარეობიდან:

— ჩვენ სრულებითაც არა ვართ სომხეთის ავტონომიის წინააღმდეგნი.

აი ჩვენი პასუხი.

და ამის შემდეგ entente cordiale ჩვენსა და „ჩვენ დროებას“ შორის, ვფიქრობთ, აღდგენილ უნდა იქმნას.

მაგრამ მანამდის ერთის კითხვით გვსურს მივმართოთ „ბრუტ საბძელის გაზეთის“ დიპლომატებს:

— რამ გამოიწვია მათი ასეთი პროუნსიამენტო ჩვენს წინააღმდეგ?

არ შეიძლება არ ახსოვდეს გაზეთს, რომ, როდესაც სახელმწიფონი გავლენათა სფერებს მიჯნავდნენ, ოსმალეთი „კლდის“ გავლენის სფერის გარეშე დარჩა... და საზოგადოთაც სომხეთის ავტონომიის წინააღმდეგია Berliner tageblatt-ი დი არა „კლდე“.

ამიტომ ცუდი არ იქმნებოდა თუ „ჩვენი დროება“ თავის სამართლიან გულის წყრომას შპრეეს ნაპირებზე გადაიტანდა.

ხოლო, თუ ისიც ეენტერესება გაზეთს, თუ რა განწყობილებაშია „კლდე“ Berliner tageblatt-თან, უნდა ესთქვათ, რომ

— ძალიან ცუდში!

და ამის დამამტკიცებელი საბუთი უკვე მივეციოთ მთელს დიპლომატიას, როცა ლონდონის კონ-

ფერენციახედ ჩვენ გამოვედით ალბანიის ავტონომიის წინააღმდეგ და გერმანია კი მომხრე

თუ ესა ჰქონდა სახეში გაზეთს, ნაშინ/ სხვაა და არც იმას დავმალოვთ, რომ ეურნალეობედ ჩვენ ვიყავით აგრეთვე ირლანდიის მომხრე წინააღმდეგი და სიხარულით შეგვიძლიან აღვნიშნოთ, რომ ჩვენმა პოზიციამ თავისი შედეგი მოიტანა, რაც იმითაც მტკიცდება, რომ ლორდთა პალატამ უკან დააბრუნა პომრულის ბილლი.

მაგრამ სომხეთის ავტონომიის წინააღმდეგი ჩვენ არასოდეს არ ვყოფილვართ და ეურნალი კლდე მხოლოდ ჰკვირობს, საიდან შეითვისა „ჩვენმა დროებამ“ ასეთი უცნაური აზრი?

ამიტომ „ბრუტსაბძელის გაზეთის“ სიტყვები:

— „ამაოთ უბერავთ მზეს, სინათლეს ვერ ჩააქრობთ!“

ჩვენ ნიგვანია მხოლოდ façon de parler-თ, რომელიც არავითარის force major-ით არა მართლდება.

ფარსმან-ფარუხი.

ორი ერთ სროლაზე

(ბლასკო იბანიესისა).

როცა კარს აღებდა, სენტომ რალაც ქალაღდს შეასწრო თვალი კლიტის ნახვრეტში... ეს, მუქარით სავსე უსახელო წერილი იყო. ორმოც პიასტრსა¹⁾ სთხოვდნენ: გინდა თუ არა, შენ სახლის წინ რომ პურის საცხობი ლუმელია, იქ უნდა შესდვა ამ საღამოსვეო. ყაჩაღების შიშით, მეზღეების მთელი ქალაქისპირა მოსახლეობა კანკალებდა. ვინც ყაჩაღების ბრძანებას არ ასრულებდა, იმას ან ხეებს ძირიანად უკაფავდნენ და უნადგურებდნენ ნათესა ან სახლს უბუგავდნენ: შუა ღამისას ბოლისაგან სულ-შეგუბული და უცბად გამოღვიძებული პატრონი ძლივსღა ასწრობდა გამოსვლას ჩალურიდან, რომელიც ალში ეხვეოდა და დაქცევას ლამობდა.

მთელი ღამეობით დაეხეტებოდა თოფით ხელში ტალიკი ბიჭი გაფარო ბილიკ-ბილიკ წარაფერში; დაეფიცნა, ყაჩაღები უნდა აღმოვაჩინოო; მაგრამ საწყალი არხში იპოვნეს თავგატეხილი და გამოფაშ-

1) 1 მ. 30 კ.

ვული... მოდი ახლა შენ და გაიგე, ვინ ჩაიდინა ეს საქმე... გაზეთები ქვეყანას აუწყებდნენ, რა ამბებიც ხდებოდა საფ. რუზაფაში. დაბინდდებოდა თუ არა, ყველანი თავ-თავიანთ სახლებში იკეტებოდნენ და შიშისაგან თავხარდაცემულნი მარტო თავის თავზე ფიქრობდნენ, მეზობლები კი ავიწყდებოდათ. ალკალდი ²⁾, ბიძა ბაბტიტი, ირწმუნებოდა, ჩემ ერთგულ ალგვაზილ ³⁾ სიგროს დავიხმარებ და ბოლოს მოუღებ ამ საზარელ ამბებსაო. ბაბტიტს, როგორც ამორჩეულ კაცს, დიდ პატივსა სცემდა აღმინისტრაცია.

მიუხედავად ამისა, სენტოს ფიქრადაც არ მოსვლია, ალკალდისათვის მიემართნა. აბა რა იქნებოდა? რა საჭირო იყო ესმინა სიტყვების ტყუილ-უბრალო რახა-რუხი და აეღო ბაბტიტისაგან ცრუ თანხები? მთელი ქონების გადაბუგვას ემუქრებოდნენ, თუ ორმოც პიასტრს არ გააღებდა. უკვე ისე უცქეროდა თავის ქოხს, როგორც სიკვდილად გადადებულ ავადმყოფს ბავშვსა.

სენტოს სახლს ჩაშავებული ჩალა ეხურა, თეთრი კედლები ჰქონდა, ცისფერ ჩარჩოიანი ფანჯარები და ხვარქთლგადავლებული კარები, რომელიდანაც სახლში მზის ოქროსფერი სხივები იჭრებოდნენ. აქვე სახლთან ლელზე მიკრული ყვავილების ბუჩქები იყო. მოშორებით, დაბერებულ ლელვის იქით, აფრიკანულ ჭიანჭველების უხარ-მხარ ბინავით მრგვალი და გასიპული, აგურებით აგებული და ბათქაშით გალესილი პურის საცხობი ღუმელი იდგა.

აი ამ ბუნაგში მოეყარა, სენტოს მთელ ქონებას თავი; აქ სცხოვრობდნენ სენტოს მახლობელნი: ცოლი, სამი ბავშვი, ორი გადამღვძალი ცხენი, სენტოს ერთგული ამხანაგები ლუკმა პურის შოვნაში, და ქრელი ძროხა, რომელიც თავის გაჭიანურებული ბლავილით ხალხს აღვიძებდა დილ-დილობით და ყოველ დღე ექვსი რეალის ⁴⁾ რძეს იძლეოდა.

ვინ იცის რამდენი შრომა დახარჯა ამ პატარა ნაგლეჯ მიწაზე. რომელიც ჯერ ისევ მამა-პაპის დროიდან ირწყვებოდა ოფლითა და სისხლით, რომ ცოტაოდენი ფული გადაედო შავი დღისთვის და ეხლა კი უცბათ გეუბნებიან, გინდა თუ არა, ორმოცი პიასტრი მოიტანეო! . სენტო მორიდებული კაცი იყო; ამას ყველა იმისი სოფლელი იტყოდა. არა თამაშობდა, დუქნებში არ დადიოდა და არა

ჭირვეულობდა, სენტო მხოლოდ და მხოლოდ თავის პეტეტასათვისა და სამ ბავშვისათვის შრომობდა და აქრჩებდა ფულსა, რომელსაც სკივრში ტახტის ქვეშ ინახავდა. ეხლა მოსდგომიან და გვეყრუვებს უბირობენ. სენტო თავის ცოცხალი თავბზნანს დასანებებს! გაუმკლავდება! სენტოს ჩვეულებრივ გულკეთილ და მშვიდობიან გამომეტყელებაში არაბ ვაჭრების სიმძვინვარე იმალებოდა. არაბი ვაჭრები ბევრ ცემა ტყუბას იტანენ ბედუინებისაგან უსიტყვოდ და უჩუმრად, მაგრამ თუ ვინმე შეეხო მათ ქონებას, ლომებივით აღმასდებიან. სენტოც ასეთი იყო.

სალამო ახლოვდებოდა. . სენტომ ვერაფერი მოიფიქრა რა და გასწია მეზობელთან რჩევისათვის. ეს მოხუცებული დაჩაჩანაკებული ადამიანი იყო, რომელსაც ეხლა მხოლოდ ბალის ბილიკების დაგვალა შეეძლო. მაგრამ ახალგაზრდობისას კი, როგორც ამბობდნენ, არა ერთი და ორი ადამიანი გაეგორებინა. მოხუცი ყურს უგდებდა სენტოს და თან თვალს არ აშორებდა სხვილ პაპიროხსა, რომელსაც ახვევდა კანკალა მქისი ხელებით. . ბერიკაცმა მოუწონა სენტოს გადაწყვეტილება. კარგია, რომ ფულებს არ აძლევო, — უთბრა მოხუცმა, — აბა ერთი გაბედონ ყაჩაღებმა შარა გზაზე ცარცვა და გაიმეტონ თავი, თუ ბიჭები არიან. აი ხომ სამოცდა-ათი წლისა ვარ და აბა სცადონ, ბარათი მომიგდონო!

მერე შესძლებდა კი სენტო თავის ქონების დაცვას?

სენტო იმსჯელებოდა ბერიკაცის იმედიანობით და სიმშვიდით გრძნობდა, რომ ბავშვების გულისათვის ყველაფერს ჩაიდენდა.

მოხუცმა ისეთი ამბით ჩამოიღო კედლიდან თავის სახლის სიამაყე, თითქმის ზარბაზნის ოდენა ძველებური თოფი და ისე საყვარლად გადუსვა ხელი გაპრიანებულ კონდახს რომ გეგონებოდათ წმინდა ნაწილებს ეხება ხელითაო. თვითონვე დაუწყობტენა თავის ძველ „მეგობარს“, რომლის თვისებაც კარგა იცოდა. კანკალა ხელები თითქოს ახალგაზრდული ძალით აევსო. მოხუცმა მთელი მუჟა წამალი ჩაყარა თოფში. მერე გაძენდა ცოტაოდენი თოკი, ზემოდან დააყოლა და მაგრა გატენა. ოღონდ კი თოფს არ დაეკრა მხარში, თორემ სხვა ყველაფერი რიგზე იყო.

სალამოზე სენტომ გამოუცხადა ცოლსა, — ჩემი რიგია რწყვისა და უნდა წავიდეო. ცოლმაც დაუჯერა და მთელმა ოჯახმა აღრე დაიძინა; სენტო კიდევ, გამოვიდა გარედ და მაგრა გამოიხურა კარი. ამ დროს მოხუცი თავის „მეგობარს“ სწმენდდა

²⁾ თემის მამასახლისი
³⁾ ნაცვალი.
⁴⁾ 6¹/₂ კ.

ლელვის ქვეშა. სენტომ ყველაფერი ეს ვარსკვლავების შუქზე გაარჩია. ბერი კაცმა უკანასკნელი დარიგება მისცა სენტოს. არ ააცდინოო, უთხრა, — უნდა ღუმელის კარებს უმიზნო და იჯდე შენთვის ჩუმად. როცა ქურდი ღუმელის შუაგულს დაუწყებს ქექვას, მაშინ... დუჰ!.. და მორჩა და გათავდა. ეს ისეთი უბრალო საქმეა, რომ ბავშვიც კი მიხვდება, მალეო...

სენტო მოხუცის რჩევით სახლით დაჩრდილულ ბუჩქებში ჩასაფრდა. მძიმე თოფი ღელის საყრდნობზე ესვენა და ტუჩი ღუმელის კარებისაკენ ჰქონდა მიმართული.

— აცდენისა ნუ გეშინიან, მხოლოდ სიმშვიდე და სიმტკიცეა საქირო. მშვიდობით, ამხანაგო! — უთხრა მოხუცმა და ფეხაკრებით გასწია შინისაკენ. ისე მიიპარებოდა, როგორც ბაღებში სიარულს ნაჩვევი კაცი, რომელიც ყოველ ბუჩქიდან მოელის თავდაცემას...

ქარი ხეებს აქანავებდა და ახმაურებდა...

სენტოს უცნაური გრძნობა დაებადა გულში: ასე ეგონა მთელ ქვეყანაზე, ამ უზარ-მაზარ ბაღებ შორის ცოცხალი არსებანი მარტოკა მე და ისინი ვართ, რომელნიც ეხლა უნდა მოვიდნენო... „ოჰ, ნეტავი არ მოვიდნენ მაინცა!“ ფიქრობდა მებაღე და თოფის კონდახს უნებლიედ ქვის ნანგრევებს ურახუნებდა: ხელი ისე უკანკალებდა შიშისაგან, თითქოს სიცივემ შეაწუხაო. რას იტყოდა ახლა ამის მნახველი მოხუცი? სენტოს ფეხები თავის ქოხის კედელზე ჰქონდა მიბჯენილი. მოაგონდა რომ კედლის შიგნით ბავშვებსა და პეპეტას ეძინათ, რომ მათი გაცარცვა უნდოდათ და ისევ გამძვინვარებულ მოხუცს დაემგზავსა.

ჰაერში რაღამაც დაიგუგუნა; შორიდან მონადენ სიმღერას მოგაგონებდათ. ეს მიგულეტეს საათის ხმა იყო. შორს, გზაზე მიმავალ ურმის ქრიალი გაისმა. ეხოში ძაღლები იყეფებოდნენ და ბაყაყები და ღამურა ფრინველები ბანს აძლევდნენ.

სენტო ყურს უგდებდა გოდოლის საათის რეკვას და ამით ხან ძილს იფრთხობდა, ხან გარინდებისაგან ერკვეოდა. გული ჰქონდა გადაღეული ლოდინით.

თერთმეტია, ნუ თუ არ მოვლენ? ნუ თუ ღმერთი ააცდენს უბედურებას?

უცბად, ძალზე ყიყინი ასტეხეს ბაყაყებმა. ბილიკზე ორი შავი აჩრდილი გამოჩნდა. სენტოს ჯერ რაღაც უშველებელ ძაღლებად მოეჩვენა ისინი, მერე დაინახა, რომ ორი ადამიანი მოიპარებოდა; თითქმის მუხლებით მოფოფხავდნენ.

— აი მოდიან, — ჩურჩულებდა სენტო და კბილებს აკაწკაწებდა.

ბოროტ-მომქმედნი თვალებს აქეთ-იქით აცეცებდნენ, თითქოს რაღაც მოულოდნელ რამეს ეძებდათ. გადასწ-გადმოსწიეს ღელეები, მივიდნენ სახლის კარებთან და ერთმა მათგანმა ყური მიადო კლიტის ნახვრეტს. ორჯელ გაუარეს სენტოს გვერდზე, მაგრამ ვერ გაარჩია ვინ იყვნენ. კარწახებში იყვნენ გამოხვეულნი. ეტყობოდათ, კარწახების ქვეშ თოფები ჰქონდათ დამალული.

სენტო აცახცახდა; უთუოდ ესენი არიან, რომლებმაც გაფარო მოჰკლეს! ძალაუნებურად ორივეს უნდა მოუღოს ბოლო, რომ თავის თავი გადაარჩინოს.

მოსულნი ღუმელს მიუახლოვდნენ. ერთი მათგანი გადინარა და ხელების ფათური დაიწყო, გატენილი თოფი კი გვერდზე გადადო. კარგად კი ამოიღებს ადამიანი მიზანში, მაგრამ აბა რას იზამ, როცა მეორე სდარაჯობს?

საწყალ სენტოს შიშით გული უკვენსოდა. შუბლზე ცივმა ოფლმა დაასხა. თუ ერთს მოჰკლავდა, სამაგიეროდ მეორეს უვარდებოდა ხელში სრულიად უიარაღო; სახლს გადუბუგავდნენ რა კი გაიგებდნენ, რომ თხოვნა არ აუსრულა.

დარაჯად მდგომს მობეზრდა ამხანაგის ამდენი ტყუილ-უბრალო ზოზინი და ხელი წააშველა ჩხრეკვაში. შავმა აჩრდილებმა სავსებით დაჰფარეს ღუმელით კარები. აი სწორად ეხლაა კაი დრო! აბა სენტო, გაბედულად იყავ! გაუსწორდი ავაზაკებს!..

თოფის ხმამ მთელი სოფელი წამოაყენა ფეხზე. გაისმა ყურის მწყველელი ყვირილი, ძაღლებმა ყეფა ასტეხეს. სენტოს ნაპერწკლები აუვარდნენ თვალწინ. სახეზე სიმწვავე იგრძნო, თოფი დააგდო და ხელები გაახამხამა, უნდოდა დარწმუნებულიყო მათ სიმთელეში: „მეგობარმა“ მაინც არა ქნა და დაჰკრა მხარში...

ღუმელთან არაფერი სჩანდა რა, ალბად თუ გაიქცნენ. სენტოსაც უნდოდა მოეძუძკა, მაგრამ ამ დროს სახლის კარი გაიღო და ზღრუბლზე აღელვებული პეპეტა გამოჩნდა: ხელში ლამპა ეჭირა. თოფის ხმას გამოელვიძებინა, ძლიერ შეშინებოდა, — ქმარი სახლში არ არის და არაფერი დაემართოს რაო. ხელები უცახცახებდა. ლამპის მოწითანო შუქმა ღუმელამდე მიაღწია.

მიწაზე ერთი-ერთმანეთზე გალართხული ორი ადამიანი ეგდო უძრავად. თითქოს რაღაც უჩინარ ლურსმანს გაეხვრიტა მათი გვამები და მოესვარა სისხლით.

სენტოს არ აეცდინა. ძველი თოფი სწორედ მიზანში მოერტყა.

უძლეველი ცნობის მოყვარეობა აღედრათ სენტოს და პეპეტას, მიუნათეს ლამპა მკვდრებს სახეში და თავ-ზარ დაცემულებმა სწრაფად უკანვე დაიხიეს.

ერთი მკვდარი, ალკალდი ბიძა ბაბტისტი იყო მეორე—მისი ალგვაზილი სიგრო.

ეს იყო და ეს, სოფელში ამ დღიდან აღარა მომხდარა რა, მშვიდობიანობა დამყარდა.

ი რ. სონლულაშვილი.

ქართულ ჟურნალ-გაზეთების

რედაქციებისა და წიგნების გამომცემლებისადმი

ბევრი რამ არის საჭირო, რომ ეხლანდელ უმწეო მდგომარეობას თავი დავაღწიოთ, ბევრი შრომა და მუშაობა დაგვჭირდება ჩვენი თვითარსებობის დასაცველად და უკეთესი მომავალის დასამყარებლად და რომ შრომა უფრო ნაყოფიერი იქმნეს, აუცილებლად საჭიროა, ვისარებლოთ იმითი, რაც გაკეთებულია წინად და წინანდელი შეცდომები მომავალში თავიდან ავიცილოთ. ჯერ კიდევ ისეთ პირობებში ვართ, რომ ვისაც სურს თავისი წვლილი შეიტანოს საერთო მუშაობაში, გარიყურია ცალკე და განმარტოებული. ის თვითონ იწყებს და თვითონვე ათავებს. არ არის ტრადიცია, არ არსებობს ერთი ძლიერი შეუწყვეტელი მიმდინარეობა, რომელსავე სამოქმედო დარგში. ამით აიხსნება, სხვათა შორის, ის, რომ ჩვენი ცხოვრების ბევრს მხარეებს დიდი ცვლილება არ ეტყობა: არ ვიცით რა აკეთეს მამებმა, მომავალ თაობას არ ეცოდინება, რას ვაკეთებთ ჩვენ და ცხადია, თუ რომელიმე შრომა არ ემყარება წინანდელ გამოცდილებას, ასეთი მდგომარეობა შეუძლებელია. უნდა ვიცოდეთ ყველა ის, რაც დაწერილია და გაკეთებულია. ამისათვის კი საჭიროა ბიბლიოგრაფია, ბიბლიოგრაფია რაც შეიძლება სრული და უნაკლო.

აგერ რამდენიმე ხანია, რაც პეტერბურგის უნივერსიტეტის არსებული ქართული სამეცნიერო წრე შეუდგა საბიბლიოგრაფიო კრებულით შედგენას და გამოცემას. ბევრი ხელის შემშლელი პირობა გადაეღობა წრეს, რომ კრებული რაც შეიძლება

მალე და უნაკლო შეედგინა, მაგრამ პირველი ცდა, მაინც კარგად მიმდინარეობს: წრე მალე დაასრულებს თავის მუშაობას და განზრახული კრებული შეადგენს ამ წრის საუკეთესო ნაწილებს და თან იგი მშვენიერი საჩუქარი იქმნება კარგად მომზადებისადმი მიძღვნილი.

საბიბლიოგრაფიო სარჩევში თავმოყრილი იქმნება ყველა მასალა, რომელიც გაბნეულია ყველა ქართულ დრო გამოშვებით გამოცემაში, დღიდან მისი დაარსებისა 1910 წლამდე. მასშივე იქნება მოქცეული აგრედვე ყოველივე, რაც კი დაწერილია საქართველოს შესახებ რუსულსა და ევროპულ ენებზე.

ჯერ ის მასალა, რომელიც შეპკობა წრემ, არ არის მთლად დაწყობილი და დალაგებული, მაგრამ წინასწარმა მუშაობამ უკვე გამოარკვეია (და როცა წიგნი დაიბეჭდება, ყველასათვის თვალსაჩინო და ცხადი იქმნება), რომ ის საკითხები, რომელიც ჩვენს პრესაში დღეს საჭირო-ბოროტია, კარგა ხანია, რაც გადასაწყვეტად დაუყენებია და ზოგჯერ უფრო კარგად, ვიდრე ახლა ხშირია ისეთი მოვლენა, რომ მაგ., ერთხელ უკვე ჩაწერილ ხალხურ ლექსს ხელ-მეორედ სწერენ და მეორედ ჩაწერილ ლექსს ახლად ჩაწერილად ასაღებენ და სხვა და სხვა. ერთი სიტყვით, არ ვიცნობთ მამების ნააზრევს და რაკი არ ვიცნობთ, გვგონია, არაფერი იყო გაკეთებული. სხვაფრივაც გავშინჯოთ: ვსთქვათ, რომელსავე მწერლის შესწავლა გსურთ. სად უნდა ეძიოთ მისი ნაწერები? თვით იმ მწერალსაც რომ ჰკითხოთ განა ის კი შესძლებს დანამდვილებით გიჩვენოს გამოცემა, წელი და ნომერი? თითონაც რომ უნდოდეს, ვერ მონახავს, სად რა უწერია. ან ვსთქვათ, თქვენ გინდათ გაიგოთ— არსებობს თუ არა რომელიმე უცხო მწერლის თარგმანი ქართულად. ვის უნდა ჰკითხოთ, სად უნდა ეძიოთ? ქართული სამეცნიერო წრის საბიბლიოგრაფიო წიგნი სწორედ შეავსებს იმ ნაკლს, რომელიც დიდი ხანია, არსებობს ამ მხრით და ქართველ მკითხველს, მწერალს და საზოგადო მოღვაწეს ბევრად გაუადვილებს სამოქმედო მოღვაწეობას, გააღრმავებს მის აზროვნებას და გააფართოვებს მის მხედველობის სფეროს.

რადგან წრის მიერ შედგენილ საბიბლიოგრაფიო კრებულში მოქცეული იქმნება 1910 წელიც, საჭიროა შემდეგი წლების სარჩევიც შესდგეს. მაგრამ რადგან სამეცნიერო წრეს სხვა საქმეებიც ბევრი აქვს. ეს ერთი, და რადგან, მეორე მხრით, ეს საქმე, ე. ი. სარჩევის შედგენა პირდაპირი მო-

ვალეობაა თვითოეული რედაქციისა, ამიტომ მივმართავთ ყველა დრო გამოშვებით გამოცემების რედაქციებს, შეადგინონ ამ წლის ბოლოს სარჩევი თავის ორგანოებში მოთავსებული მასალისა ამ ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში, შემდეგში კი აუცილებლად ყოველ წლივ გამოსცენ ხოლომე ასეთი სარჩევი.

რაც შეეხება წიგნებს, მათი ბიბლიოგრაფიის შედგენა უნდა სხვა გვარად მოეწყოს. აქამდის სამწუხაროდ, ისეთი მდგომარეობა იყო, რომ რომელსამე ქართულს წიგნს პეტერბურგის საჯარო წიგნთსაცავში ან საახლო მუზეუმში უფრო ადვილად იშოვიდა კაცი, ვიდრე თფილისში ან ქუთაისში. ასეთი ანორმალური მდგომარეობა ეხლავე უნდა ავიცილოთ თავიდან. ამისათვის ერთად ერთი საშუალებაა, რომ გამომცემლებმა სამი ცალი თავისი გამოცემისა დაუთმონ ეროვნულ მუზეუმს (ორი თბილისისა და ერთიც ქუთაისის განყოფილებისათვის). სანამ მუზეუმის შენობა მზად იქმნებოდეს, გამოცემანი უნდა ეგზავნებოდეს საისტორიო და საეთნო-

გრაფიო საზოგადოებას. რაკი წიგნებს, ამნაირად, თავს მოუყრით ერთ ადგილას მათი ბიბლიოგრაფიის შედგენა წლის ბოლოს ადვილია და ამ საქმეს ვგონებთ, იკისრებს თვით საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაც.

ეს არის ჩვენი თხოვნა, რედაქციებისა და გამომცემლებისადმი მიმართული. იმედი გვაქვს, რომ ამ საკითხის შესახებ თვითოეული გამოცემა მსჯელობას იქონიებს, ჩვენს თხოვნას შეასრულებს და ამგვარად ქართული მწიგნობრობის საქმეს დიდ სამსახურს გაუწევს.

პეტერ. უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრის გამგეობის თავმჯდომარე **ა. შანიძე**.
წრის ხელმძღვანელი **ივ. ჯავახიშვილი**.

P. S. ყველა ქართულ ჟურნალ-გაზეთებსა ვთხოვთ ეს მოწოდება გადაბეჭდონ და ჩვენს თხოვნას ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ.

ციმბირის ეროს მკეთებელთა

არტელების კავშირი

მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს საკოოპერაციო დაწესებულებათა კავშირს. სადაც ასეთ დაწესებულებათა კავშირი არ არსებობს, იქ საკოოპერაციო საქმე ძლიერ მოიკოჭლებს; სამაგიეროდ, სადაც კავშირი მოქმედობს და ძალაც შესწევს, იქ კერძო კოოპერატივების საქმეც მკვიდრია. ამის უტყუარ საბუთად უნდა ჩაითვალოს ციმბირის ეროს-კარაქის მაკეთებელთა არტელების და მათთან არსებულ დუქნების კავშირის მოქმედება. აი რას მოგვითხრობს გაზეთ „Р-ზე“ მა ამ კავშირის შესახებ ბ. ჩაიკოვსკი, რომელიც ამას წინად დასწრებია კავშირის საერთო კრებას: „გასულ წლის 15 ქრისტიშობას ქ. კურგანში (ტობოლის გუბ.) მოხდა წლიური კრება რწმუნებულთა 390 არტელისა და 137 მომხმარებელ დუქნებისა, რომლებიც მოღებულნი არიან მთელს ციმბირის სივრცეზე ურალიდგან ალტიამდე და რომელნიც შედიან კავშირში. ერთი წლის განმავლობაში კავშირს მიჰკედლებია 172 არტელი და 82 მომხმარებელი დუქანი. ეს გარემოება ნათლად ამტკიცებს, თუ როგორ ინტენსიურად სწარმოებს კავშირის ზრდა. ამ არტელებში დაახლოებით არის

120,000 წევრი, რომელთაც ჰყავთ 300,000-ზე არა ნაკლები სული ძროხა. მთელი წლის განმავლობაში კავშირს გაუყიდნია 477,000 ფუთი კარაქი, ღირებული 7.200,000 მანეთად. გარდა ამისა, კავშირის გამგეობას არტელებისთვის უყიდნია 391,000 მანეთის სხვა და სხვა მასალა, ხოლო მომხმარებელ დუქნებისთვის—309,000 მანეთის საქონელი; სულ მთელი წლის წარმოება უდრიდა 7.000,000 მანეთს. მომავალ წელს მოსალოდნელია ჯამი ავიდეს 10.000,000 მანეთამდე. არტელის მონაწილეთ ფუთ რძეში თავიანთ არტელებიდგან მიუღიათ საშუალოდ 60 კაბ., ხოლო კავშირის საშუალებით გაყიდულ კარაქში მიუღიათ ფუთზე 46 კაბ. მეტი, ვიდრე ადგილობრივ ფასობდა. ეს ზედმეტად მიღებული ფული 470,000 ფუთ კარაქზე შეადგენს 220,000 მანეთს. თუ-კავშირის საშუალებით ნაყიდ მასალის და საქონლის სყიდვის დროს მოგებას ვიანგარიშებთ 100,000 მანეთს, მაშინ მთელი მოგება ანუ უკეთ, არტელის მონაწილეთა ჯიბეში იქმნება გადარჩენილი 320,000 მანეთი.

კავშირის ხარჯი თავისი 8 განყოფილებით

(გარდა საზღვარ გარედ არსებულ კანტორებისა) უდრის 22,000 მან., რაც მთელი წარმოების ჯამის 0,3 ნაწილს შეადგენს. ეს ციფრები ნათლად გამოჰაატავენ, თუ რავდენად მართალია ჩარჩების მიერ გავცელებული ხმები, ვითომ კავშირი საზარალო იყოს გლახთათვის. საკუთარი თანხა კავშირს აქვს სულ 85,000 მანეთი.

კავშირმა არტელების ნაწარმოებს გაუკაფა გზა საერთაშორისო ბაზარზე და მით დაიხსნა არტელები ადგილობრივ ჩარჩ ბაც ცების ოინებისაგან. რაღა თქმა უნდა კავშირს უბრძოლველად არ მიუხწევიასეთს წარმატებისთვის. როგორც უწინ კარაქის ქარხნების კერძო მებატრონეები ებრძოდნენ არტელების გავრცელებას, ისე კავშირს გამოუცხადეს უღმობელი ომი ჩარჩებმა. სხვა და სხვა ხრიკებით. მოსყიდვით, ცუდი ხმების გავრცელებით, ფალსიფიკაციით ზოგიერთ შემთხვევაში თითქოს კიდევაც იმარჯვებდნენ, მაგრამ ეს გამარჯვება უღლეო, შემთხვევითი იყო ხოლმე და კავშირს ვერაფერს აკლებდა, რადგან მისი ზრდა საარაკოდ სწარმოებდა.

სულ ორი სამი წელიწადია, რაც იწყეს გახსნა არტელებთან მომხმარებელი დუქნებისა, მიუხედავთ ასეთ ხანმოკლე არსებობისა, იგი სწრაფად ვრცელდება. მომხმარებელ დუქნების მოგებიდან აარსებენ საარტელო თანხებს, რომლებითაც მართვენ ხორბლეულობის შესანახ ბეღლებს, წისკვილებს ყიდულობენ სამეურნეო იარაღებს და სხვა. ზოგიერთს სოფლებში ასეთ თანხებით მოწყობილი აქვთ საელექტრონო სადგური, რომელიც ანათებს მთელს სოფელს; ხმები ისმის საამხანაგოდ მიწის დამუშავების შესახებ საარტელო ტრაქტორებით. კავშირის სიამაყეს შეადგენს 20,000 მან. ღირებული. მშვენიერი საკუთარი შენობა ქ. კურგანში. კავშირი აპირებს კავკასიაში საკუთარ ქარხნის დაარსებას კარაქის კასრებისთვის მასალის დასამუშავებლად, რომელსაც აქნობამდე ეზიდებიან გერმანიიდან.

კავშირს აქვს თავისი ორგანო „Народная газета“, რომელშიაც მომეტებულ წილად თანამშრომლობენ თვით არტელის მონაწილენი—გლახნი „Нар. газ.“ იბეჭდება 5,000 ცალი და უფასოდ ვაზენება არტელებს. ვაზეთზე ყოველ წლივ იხარჯებოდა 4,000 მან., წელს კი გადასდეს 6,000 მანეთი. „უგაზეთოდ ჩვენ გაძლება“ შეგვიძლიან, გაიძახოდნენ თურმე კრებაზე არტელეის წარმომადგენელნი: „იგი ერთად ერთი გაზეთია, რომელსაც ჩვენა ვკითხულობთ. გაზეთი ჩვენთვის სასარგებლო რამ არის, უიმისოდ არც კავშირი ვგექნება, გადავდოთ გაზეთისთვის 6,000 მანეთი, რომ იგი უკეთესი იქმნეს“...

„მე შემთხვევა მქონდა—განაგრძობს ბ. ჩაიკოვსკი—დამეთვალვიერებინა არტელები და მომხმარებელი დუქნები ადგილობრივ და უნდა მოგახსენოთ, რომ გლახთა შეკავშირების შემთხვევაში ვოდ არის განხორციელებული ციმბირული შესანიშნავი შედეგი უნდა მიეწეროს ციმბირულთა არა ჩვეულებრივ გულის ხშიერობას, მათ ერთობას და აგრეთვე ციმბირის არტელების „პაპას“ ა. ნ. ბალაკშინს. ასე იმართება წელში ჩვენი ქვეყანა თავისი შრომისგან დაკოყოფებულ ხელებით და შრომითვე მოპოვებულ გროშებით, სადაც მას არავითარი დაბრკოლება არ ელობება წინ!“ ათავებს თავის წერილს ბ. ჩაიკოვსკი.

ს. კ.

ეკონომიური ცხოვრება

- 1 იანვარს 1913 წელს საქართველოში ითვლებოდა შემდეგი ეკონომიური დაწესებულებანი:
 - 2 საადგილ-მამულო ბანკი
 - 13 საურთი-ერთო ნდობის საზოგადოება
 - 153 სასოფლო წვრილი კრედიტის და შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა
 - 10 სხვა და სხვა კოოპერატიული და ეკონომიური საზოგადოება.
 - 1 სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება.
 - 1 საადგილ-მამულო კომისია.

— ს. ახაშენში (კახეთი) მომხმარებელ საზოგადოების წევრები აპირობენ—ერთმანეთში კოოპერატიულად შეერთებულნი, მთელი ერთეულით ჩაეწერონ მევენახეთა საზ. „კახეთის“ წევრად.

— სოფ. ქარელის ახლო (ქართლი) აპირობენ ხიდის გაკეთებას მტკვარზედ... ადგილობრივმა ინტელიგენციამ აღძრა მთავრობის წინაშე შუამდგომლობა დახმარებისათვის.

— ქუთაისის ოლქის წვრილი კრედიტის ამხანაგობანი აპირობენ საგუბერნიო წ. კრ. კავშირი-მოწყობას, „ს. გ.“

ს. ბოდბისხევის (კახეთი) გლახთა ყრილობამ გადასწყვიტა წყლის გამოყვანა. ამ საქმეში ეხმარება მოძრიგებელი შუამავალი ვ. დ. ნაცვალიშვილი. საქმის განხორციელებისათვის ბოდბისხეველებს განზრახული აქვთ გამოიტანონ ხაზინილამ თავისი ეგრედ წოდებლი „სამალაზიო“ ფული. „ს. გ.“

1912 წ. კრისტიშობისთვეში ბათომიდან და ფოთიდან გაუტანიათ საზღვარ გარედ 5.789,077 ფუთი ქიათურის შავი ქვა, ღირებული 895,477 მასნეთად.

ხაზინა და ქ. ხ. მამული*)

შეუძლებელია მცირე წერილში მოგროვილი იქმნას ყველა კანონები და ფაქტები, რომლითაც ადგილობრივ ხალხის მიწათმფლობელობა ხაზინის მიწის ფონდის საკუთხეველზე ინგრეოდა. ვინ გაიხსენებს და ვინ მოსთვლის თუ რამდენი მამული დარჩა ხაზინას სახელმწიფო ბანკ „პრიკაზი“-ს საშუალებით, რამდენი გადავიდა სახელმწიფოს ხელში სათავად-აზნაურო და საგლეხო ბანკების საშუალებით. ეს ბანკებიც ხომ სახელმწიფოს უმაღლეს ინტერესებს ემსახურებოდნენ. აკი გოლიციანი ამბობდა: საგლეხო ბანკი სახაზინო მიწების გასაფართოვებლად უნდა იქმნას გამოყენებული და შეღავათი საგლეხო ბანკისა მხოლოდ რუსებს გაეწიოსო?!

დავებმართო რუსებს, გავამრავლოთ ისინი, დავასახლოთ ჯერ კიდევ დაუსახლებელია დგილები— აი რას ნატრობს ადგილობრივი მთავრობა. და მიუხედავად იმისა, რომ საამისო მუშაობა მეტის მეტ სიცხოველით სწარმოებდა მთელ მე-XIX-საუკუნის სივრცეზე*), გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი მაინც უკმაყოფილებით ამბობს, რომ მეორმოცე წლებიდან, რაც ვორონცოვი (1844-1854 წ.წ.) გამოესალმა კავკასიას, ჩვენს ქვეყანას—გარდა დიდი მთავარ მიხეილ ნიკოლოზის ძისა—არ ჰყოლია ისეთი პირი, რომელსაც უპირველესი მოვალეობა სახელმწიფოს წინაშე: განაპირა ქვეყნების რუს ელემენტებით დასახლება სათანადო შეესრულებინოსო²⁾ (კურსივი ყველგან ჩვენია—თ. ლ.) ამიტომ მთავრობის მოხელეთა სიუძღურის (?!—თ. ლ.) გაფასებას თვითონ მეფის მოადგილე ცდილობს, რადგანაც გრაფ ვორონცოვ-დაშკოვის აზრით ზოგიერთი ადგილები თბილისის გუბერნიაში და აგრეთვე შავი ზღვის პირად—მთელი 46% ადგილებისა, ჯერაც დაუსახლებელია და თუ ეხლავე არ მოვასწარით და რუსებით არ დავასახლეთ, შემდეგ

*) იხ. „კლდე“ № 15, 2, 3 და 4.
 2) იხ. გვ. 67.
 *) აბა დასტკებით: 1820 წ. ერმოლოვის ხელში კავკასიაში 20 ათასი მალაოროსი იქმნა გაუმოსახლებული. 1836 წ. რუსეთის ჯარის უმიწა-წყლო უნტერ-აფიცრებს სახლერების ახლო ცალიერი ადგილები მუქთად დაუთმეს. 1838 წლ. მთელი სოფლები აღორძინდა რუსებისა ალაზნის მიდამოებში, ფოთის ახლო. ინგურისა და დარიალის ხეობაში. 1830 წლიდან კავკასია რუსებისათვის საციმბირო ადგილად გადააქციეს, სადაც ყოველ სექტანტს ასახლებდნენ. 1846 წ. სექტანტებისა და სხვა რუს-გადმოსახლებულების რაოდენობა მარტო ამიერ-კავკასიაში 15.751 სულს უდრიდა, 1864 წ.—29 487 სულს და 1871 წ.—31.223 სულს (იხ. სასნოვსკის მასალები. გვ. 128—129). საერთოდ, რიცხვით რუსობა ძლიერ მრავლდებოდა. ამიერ-კავკასიაში 1881 წ. მათი რიცხვი=1 369.898 სულს. ჩრდილო კავკასიაში მთელ მცხოვრებთა 1.865-814 დან რუსთა რაოდენობა უდრიდა=1.292.886 სულს ე. ი. 68.66% მარტო თბილისისა და ქუთაისის გუბერნიაში მათი რიცხვი უდრიდა 39.452—(იხ. ესაძე ტ II გვ. 308).

ამ ადგილებს ადგილობრივი მკვიდრი დაიპყრენო³⁾. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს—ამბობს მეფის მოადგილე—სპარსეთის საზღვრებზე 8, 000 დესეტინა მამულის ხელოვნურად განოყიერებას, გამშვენებებას, რათა ეს—სახელმწიფოსათვის განსაკუთრებით საყურადღებო ადგილები—რუსის ხალხმა დაიკავოსო⁴⁾

აი, ბატონებო, ფაქტები. ეს ფაქტები ჩვენ აშკარად გვანახებენ, რომ გაკატისტების „ausrotten“ ჩვენშიაც უტიფრად განვითარებულა, რომ ჩვენშიაც ხაზინას ჩაუყლაპავს დიდი ნაწილი ჩვენი ხალხის მამულისა და მაშინ, როდესაც ადგილობრივ ხალხს ლუკმა პურიც არ გააჩნია, მთავრობა ათი-ათასობით ასახლებს სხვა კუთხეებიდან. მაშინ როდესაც ჩვენს დაბალწოდებას მთელ თბილისის გუბერნიაში ვარგისი მიწა მხოლოდ 293 ათასი დესეტინა აქვს, ხაზინის ხელში კი დამიჯნულს იყო 1901 წელ. 1579 ათასი დეს. მამული; ქუთაისის გუბერნიაში კი დაბალ წოდების ხელში ითვლებოდა 143 ათასი დესეტინა, ხოლო ხაზინის სრულს განკარგულებაში კი 377 ათასი დესეტინა. ე. ი. თბილისისა და ქუთაისის გუბერნიაში ჩვენს ხალხს უჭირავს დაახლოვებით:

დაბალ წოდებას = 436 ათასი დეს. მიწა.
 ხაზინას = 1952 „ „ „

ე. ი. ხაზინის ხელში 4 1/2 ჯერ მეტი მიწებია დღეს ვინემ ხალხის ხელში. და მითხარით, რაღა უნდა გავიკვიროთ, როდესაც უმიწობას გვიკვირებენ დღეს? არა, მიწა არის, მხოლოდ მიწა ხაზინამ მიითვისა, ხალხი კი ქუჩაში გაირიყა. ასეა დღეს. მომავალი უარეს გვიქადის. მთავრობის მოხელე ბ. სასნოვსკი გვეუბნება, რომ თბილისის გუბერნიაში და აგრეთვე ქუთაისისაში დღეს დაუმიჯნავია სულ მილიონ დესეტინაზე მეტი მამული,⁵⁾ რომელზედაც გაწიწმატებული საჩივრები სწარმოებს ხაზინასა და ხალხს შორის.

როგორ წავა საქმე?

ზემოდ დახასიათებულ საქმეების შემდეგ აშკარაა, თუ საქმე როგორ დაბოლოვდება. მაგრამ პიპოტეზებიც არაა საქირო, რადგანაც ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი ბ. სლავოჩინსკი 1907 წლის უქვეშერდომელს მოხსენებაში გვეუბნება: დამიჯვნითა და საჩივრებით ყოველ წლივ ხაზინას ასი ათასი დესეტინა მამული ემატებაო.

აი ბატონებო ფინალი იმ დრამისა, რომელიც მე-XIX—საუკუნის სივრცეზე ვითარდება ჩვენში და რომელიც დღემდინაც გაუცნობელია სათანადოთ..

თევდ. ლლონტი.

3) იხ. გვ. 81—82.
 4) მოხსენება, გვ. 83.
 5) ვვულისხმობ სასნოვსკის „Материалы по вопросу о распростран. дѣйствій крест. Позем. банка на Закавказ. край“ გვ. 70—71 Спб.

რედაქტორ-გამომცემელი რ. გაბაშვილი.

მოითხოვით კოოპერატიული რბე



„ლილი“

მუშაობს ამხანაგობა „ლილი“ თავისი ნაძღვილი და ჰიგუენური რბით მოიხმობს კარგი ბზარი და ახლა ზუბროვებს თავის საქმეებს, რითაც შეძლება მიეცეს მსურველთა მიაწოდოს სუკეთესო რბე ბინაზედ, ცალკე დაბეჭდილ ჭურჭელით.

რბის დაკვეთა შეიძლება შემდეგ ადგილებს: რედაქცია „კლდე“ Габаевский пер. № 3. და ქართულ სამეურნეო საზოგადოების მდივანთან: Баятинская 5.

Открыта подписка на 1913 годъ

на политическую, общественную и литературную ежедневную газету

„З А К А В К А З В Е Ё“

Гезпартійно-прогрессивный демократическій органъ, обслуживающій интересы Закавказскаго края, безъ различія націоналистовъ.

(Восьмой годъ изданія)

ПОДПИСНАЯ ЦѢНА

Съ доставкой въ городъ Тифлисъ:

12 м. 5 руб., 11 м. 4 р. 70 к., 10 м. 4 р. 40 к., 9 м. 4 р. 10 к., 8 м. 3 р. 80 к., 7 м. 3 р. 40., 6 м. 3 р. 5 м. 2 р. 60 к., 4 м. 2 р. 20 к., 3 м. 1 р. 75 к., 2 м. 1 р. 35 к., 1 м. 75 к.

Съ пересылкой для иногороднихъ

7 р., 6 р. 50 к., 6 р., 5 р. 50 к., 5 р., 4 р. 50 к., 4 р., 3 р. 50 к., 2 р. 80 к., 2 р. 10 к. 1 р. 40 к., 75 к. Заграницу вдвое больше городской

Для годовыхъ подписчиковъ допускается РАЗСРОЧКА по 1 р. въ мѣсяць.

Подписка принимается только съ перваго числа каждаго мѣсяца и не далѣе, какъ до конца года, въ конторѣ редакціи на Дворцовой улицѣ, въ домѣ Грузинскаго Дворянства (входъ со двора грузинскаго театра)

Телефонъ № 917.

ПЛАТА ЗА ОБЪЯВЛЕНІЯ:

Для Закавказья на мѣсто, занимаемой строкой петита: впереди текста 15 коп., позади текста 10 коп., посреди текста 50 коп. Стороннее сообщеніе 15 коп. зрѣлища и увеселенія 20 коп

За многократныя объявленія скидка.

Объявленія о спроеъ и предложеніи труда, объ отдачѣ квартиръ, наймѣ прислуги и т. д. на 4 стр.—25 к. каждое. Траурное объявленіе—4 руб.

Объявленіе влѣ предѣловъ Кавказа принимаются исключительно въ центральной конторѣ торговаго дома Л. Э. Метцль и К. въ Москвѣ, Мясницкая д. Сытова, въ отдѣленіяхъ въ гор. С.-Петербургѣ—большая Морская. № 11, въ Варшавѣ—Маршалковская. № 130, по 24 к. передъ текстомъ и 12 коп. послѣ текега.




მ ო ი თ ხ ო ვ ე თ ყ ვ ე ლ გ ა ნ



კოოპერატიული ღვინო


საზოგადოება „კახეთი“-სა



ევრო საზოგადოება „კახეთისა“: ღვინის მოტანა და გატანა

საზოგადოებას 15 წლის განმავლობაში გაუყიდა 1,000,000 ვედრო ღვინო 3,000,000 მან.

საზოგადოებას აქვს განყოფილებანი: ბაქოში, ასხაბადში, ტაშკენტში, ბათუმში, მოსკოვში, არმავირში, ალექსანდრაოლში, ეკატერინოდარში.



სარდაფი „კახეთისა“: ღვინის გადაღებ-გადმოღება

საზოგადოების ადრესი: თბილისი, გოგოლის ქუჩა; საზოგადოება „კახეთი“

მევენახეთა საზოგადოება „კახეთი“ დაარსებულია 1894 წელს. საზოგადოებაში არის 164 წევრი. „კახეთის“ საზოგადოების წევრებს აქვთ 866%, დესთინა ვენახი, საიდანაც უზიდავენ საზოგადოებას ნამდვილ კახურ ღვინოს!

ქალაქ მართოვანია!

კახელებო! ჩაეწერეთ საზოგადოების წევრებად და ამით დაიხსენით თქვენი სარჩო-საბადებელი სირაჯ-ჩარჩების ცარცვისაგან და მასთან ერთად შეუწყეთ ხელი ღვინით და საქმეში მონაწილეობით. ყოველ კახელისთვის ფრიად სასარგებლო „საზოგადოების“ გაფართოვება— გაძლიერება, მისი წევრების გაძლიერების და გამდიდრების მომასწავებელია.

უკანასკნელ დროს საზოგადოების ნაწევარი მოწესრიგებული და მკვიდრად დაუქმებულია.

მოითხოვეთ საზოგადოების წესდება.